პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 115 (19557) ◆ სამშაბათი, 20 მაისი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

შეხვედრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

19 მაისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი შეხვდა დასავლეთ გერმანიის საარის მხარის პრემიერ-მინისტრს ოსკარ ლაფონტენს, რომელიც ჩვენს ქვეყანაში იმყოფება საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

მეგობრული საუბრის დროს სტუმარს და მის თანმხლებ პირებს გააცნეს საბჭოთა საქართველოს დღევანდელი დღე, სკკპ XXVII ყრილობის ეტაპობრივი გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების მუშაობის ძირითადი მიმართულებანი, ის ამოცანები და პრობლემები, რომლებსაც დღეს განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობენ საბჭოთა საქართველოს მშრომელები, რათა დაჩქარონ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, კულტურის, განათლების, ჩვენი საზოგადოების ცხოვრების სოციალური სფეროების განვითარება. დასახული პროგრამის წარმატებული გადაწყვეტის საწინდარია, აღინიშნა შეხვედრაზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი ზრუნვა თითოეული რესპუბლიკის, კერძოდ, საქართველოს სს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პროგრესისათვის.

განსაკუთრებით აღინიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს საბჭოთა-კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, რომელიც უფრო სრულად და კონკრეტულად აისახა პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლებში, რომლებიც შეიცავენ გამალებული შეიარაღების ალაგმვის, ბირთვული ომის საფრთხის ლიკვიდაციისათვის გამიზნულ მთელ რიგ კონსტრუქციულ საშვიდობო თანამიმდევრულ ინიციატივებს.

ამ ამოცანების გადაწყვეტას დიდად უწყობს ხელს ქალაქების, კერძოდ, თბილისისა და საარბრიუკენის პარტნიორობა, რომელიც ხელშეწყობ შესაძლებლობებს უქმნის ხალხთა ურთიერთგაგებას, ყოველმხრივ თანამშრომლობას, ნდობის ატმოსფეროს დამკვიდრებას.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ თბილისისა და საარბრიუკენის მზარდი მეგობრული პარტნიორობა დამაჯერებელი მაგალითია იმისა, თუ რაოდენ საჭიროა დღეს, დამბლობის პირობებში, დასავლეთის მილიტარისტული წრეები

ELIBRARY.GE

რომ, ასეთებმა — პირველ ერთიერთობაში — გაგიდეს — ბერლინსა, ნდობით აღსავსე საფუძველზე, [illegible] ... თანამშრომლობას მშვიდობისა და სხვადასხვა ქვეყნის ადამიანების საკეთილდღეოდ.

დასავლეთ გერმანიის საარის მხარის პრემიერ-მინისტრმა ო. ლაფონტენმა მადლობა გადაიხადა გულითადი მიღებისა და საინტერესო საუბრისათვის და აღნიშნა, რომ მისი, როგორც ფედერალური პოლიტიკური მოღვაწის პოზიციის ჩამოყალიბებაში, რომელიც ილაშქრებს გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ, მხარს უჭერს მშვიდობიან თანამშრომლობასა და ხალხთა ურთიერთგაგებას, დიდი როლი შეასრულა საარბრიუკენისა და თბილისის განვითარებადმა პარტნიორობამ.

შეხვედრაზე მხარეებმა გამოთქვეს კმაყოფილება და რწმენა, რომ ეს პარტნიორული მეგობრული ურთიერთობა კვლავაც განმტკიცდება და გაფართოვდება.

შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე რ. ა. გოგლიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ი. ს. ჟორდანია.

(საქინფორმი).

დემოკრატია და დისციპლინა

მას, თუ რამდენად დემოკრატიულია თავისი ბუნებით ჩვენი საზოგადოება, ზოგჯერ არც კი ვუფიქრდებით. მიგვაჩნია, რომ ასეც უნდა იყოს, რადგან ვცხოვრობთ სოციალიზმის სამყაროში, რომელმაც მშრომელი ადამიანი თავისი ბედის, თავისი ქვეყნის ბატონ-პატრონი გახადა. უფროსმა თაობებმა იწყეს ამ სამყაროს მშენებლობა, დაიცვეს იგი ფაშიზმთან სასტიკ ბრძოლაში, და ახლა ყოველი ახალი თაობა მასში შედის მშვიდად და გულდაჯერებით, როგორც მშობლიურ სახლში, სადაც თითოეულისათვის გარანტირებული და დადგენილია უფლებები და თავისუფლებები, გარანტირებულია სსრ კავშირის კონსტიტუციით. მათ შორის არის ყველაზე საყვარელი: შრომის, დასვენების, ჯანმრთელობის დაცვის, მოხუცებულობაში, ავადმყოფობის შემთხვევაში მატერიალური უზრუნველყოფის უფლება, ბინის, განათლების უფლება და სხვ.

დემოკრატიზმი, მასების ცოცხალი შემოქმედება ვ. ი. ლენინს მიაჩნდა ახალი წყობილების განვითარების მთავარ ძალად. დემოკრატია ის ჯანსაღი და სუფთა პაერია, რომელშიც შეიძლება მხოლოდ მჩქეფარედ ცოცხლობდეს სოციალისტური საზოგადოებრივი ორგანიზმი. და ახლა, როცა ვლაპარაკობთ სკკპ XXVII ყრილობის სულისკვეთების ყველგან დამკვიდრების, დაჩქარების შესახებ, ეს ფულისხმობს სოციალისტური დემოკრატიის, ყველა მისი მხარისა და გამოვლინების შემდგომ განვითარებასაც.

ჩვენ ვხედავთ: პარტია ბევრ რამეს აკეთებს სოციალისტური წყობილების დემოკრატიზმის გაღრმავებისათვის. საბჭოების, პროფკავშირების, კომკავშირის, შრომითი კოლექტივების, სახალხო კონტროლის გაჯანსაღების, საჯაროობის გაძლიერების ღონისძიებების, ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის, საწარმოთა და გაერთიანებათა დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის, უშუალო დემოკრატიის ყველა ფორმის ეფექტიანი გამოყენების კიბეზე, როცა ადამიანებს შეუძლიათ უფრო აქტიური გავლენა მოახდინონ გადაწყვეტილებათა შემუშავებასა და მიღებაზე, — ყოველივე ამის მიღწევა მოჩანს ფედერალიცემ. საბჭოთა ადამიანის პიროვნებისაში, მისი შემოქმედებითი ძალების რწმენა. „შენ ქვეყნის ბატონ-პატრონი ხარ, ამიტომაც პატიოსნად და კეთილსინდისიერად ემსახურე ქვეყანას, იზრუნე მისი წარმატებებისათვის, მინდობილი საქმე ისე შეასრულე, რომ სინდისი წმინდა გქონდეს" — აი თითოეულისადმი მოთხოვნების არსი.

შეიძლება მოვიყვანოთ იმ დიდ მუშაობაში შრომითი კოლექტივების შემოქმედებითი მონაწილეობის ბევრი მაგალითი, რომელიც ქვეყანაში გაიშალა. შეიძლება დავასახელოთ ადამიანები, რომლებსაც მოსვენება მხოლოდ ესიზმრებათ. შეიძლება ვილაპარაკოთ მოვლენებსა და ფაქტებზე, რომელთა მიღმა დგას დასკვნა — აი იგი, ჩვენი მოქმედი დემოკრატია. მაგრამ იგი აბსტრაქტულად არ უნდა გვესმოდეს. ზოგიერთი მუშაკი საჯაროდ აცხადებს თავის უფლებებს, უარს არ ამბობს იმსჯელოს დემოკრატიაზე ზოგადად და იკითხოს თავის ვალს, უშუალო მოვალეობებს, ელემენტარული წესრიგის დაცვას.

ჩვენი დემოკრატია კი არ უარყოფს, არამედ გულისხმობს პირად პასუხისმგებლობასა და დისციპლინას. ეს დისციპლინა ერთია ყველასათვის. თუ მოითხოვ წესრიგს წარმოებაში, საკუთარ ორგანიზაციაში, კეთილი ინებე და ეს წესრიგი თავადაც დაიცავი. თუ ხელმძღვანელს აკრიტიკებ არამომთხოვნელობისათვის, მაშინ შენ თვითონ უაღრესად მკაცრი უნდა იყო საკუთარი თავისადმი. თუ შენ საკუთარი კოლექტივის ხელს უფრთხილდები, პატივს სცემ მის ტრადიციებს, მის აზრს, მაშინ ზრუნავ მისი ინტერესებისათვის იმ შემოხვევაშიც კი საკალდებულოა, თუ სხვაგვარი აზრი გაქვს. ეს წესი ყველგან განუხრელად უნდა სრულდებოდეს.

ОО ПРАВДА
19 მაისის მოწინავე

ჩვენ გარდატეხის ხანაში ვცხოვრობთ. გარდაქმნა ეხება ცხოვრების სხვადასხვა მხარეს, მაგრამ იგი წარმოიჩენს აგრეთვე ჩვენს უნარს, საქმიან თვისებებს. და არა მარტო ხელმძღვანელის, არამედ თითოეული მშრომელისაც. დიახ, ყველაფერი, რაც ხელს უშლის წინსვლას, დაჩქარებას, უნდა გავკრიტიკოთ. მაგრამ არ უნდა დავუშვათ, რომ კრიტიკა და თვითკრიტიკა ფორმალური იყოს, თავისებურ მოდად იქცეს. არ შეიძლება არ ვხედავდეთ, რომ დემოკრატიის, თავისი „კანონიერი" უფლებების შესახებ მჯელობის ალმით ზოგიერთი ეწევა, მეტი რომ არა ვთქვათ, დემაგოგიას. მისი მხილება ზოგჯერ ადვილი როდია—თითქოს საქმეზე ლაპარაკობს კაცი, თითქოს იცის შეცდომები და ხარვეზები, აკრიტიკებს, მაგრამ თუ ასეთი კრიტიკის არსს ჩავწვდებით, იმას დავაკვირდებით, თუ რა გააკეთა პირადად ამ ადამიანმა გარდაქმნისათვის, ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის, გამოდის, რომ იგი თითქოსდა უცხოა თავის კოლექტივში, რადგან თითიც არ გაუნძრევია საქმისათვის, მის პრობლემებზე ლაპარაკობს, მაგრამ გული არ შეტკივა მათთვის. პარტიულმა ორგანიზაციებმა, შრომითმა კოლექტივებმა ყოველნაირად უნდა დაიცვან თავიანთი ატმოსფერო დემაგოგებისა და მოლაყბეების გამონათქვამებისაგან, თავიდან მოიცილონ სხვისი მოიმედეობის გაწყობილება, ზოგ-ზოგების მისწრაფება სხვას, სახელმწიფოს, საზოგადოებას დააკისრონ საკუთარი საქმე.

ადამიანის ყოველი საქციელის, პარტიულ თუ მუშათა კრებაზე მისი გამოსვლის მიღმა მუდამ უხილავად დგას ზნეობრივი ასპექტი. სიტყვის აღების უფლება ყველას აქვს. მაგრამ ჩვენთვის სულაც არ არის სულ ერთი, რამდენად პრინციპულია ეს სიტყვა, ხალხი გულით არის ნათქვამი იგი თუ ანგარებისათვის, ძმაკაცების ჯგუფის პატივმოყვარე ზრახვებისათვის. ასეთი რამ კი ჯერ კიდევ ხდება. განა შეიძლება ვურიგდებოდეთ ამას: არა. ჩვენი ზნეობრივი კრიტერიუმები და ჩვენი დემოკრატიული პრინციპები განუყოფელია, ისინი ავსებენ და ამდიდრებენ ერთმანეთს. პატიოსანი, ავტორიტეტიანი, სამართლიანი ადამიანის აზრი მუდამ ფასობდა და ფასობს ძვირად. ასეთი ადამიანები ჩვენში ბევრია, ისინი შეადგენენ შრომითი კოლექტივების ბირთვს.

ეხება საქმე რეზერვებს, სოციალურ საკითხებს, საკადრო პოლიტიკას თუ არჩევითი ორგანოების ფორმირებას, ყველაზე სწორია ვეურდნობოდეთ ავტორიტეტიანი უმრავლესობის აზრს. საყურადღებოა ყოველი რეალური ნაბიჯი საჯაროობის გაფართოების, ქვემოდან კონტროლის გაძლიერების, დემოკრატიული საწყისების გაღრმავების გზაზე, განსაკუთრებით საკადრო პოლიტიკაში. უკანასკნელ ხანს ადგილებზე მოხდა ხელმძღვანელთა დიდი ცვლა, ეს საჭირო იყო. გაითვალისწინეს შრომითი კოლექტივების, კომუნისტების აზრი. ყოველივე ამან დადებითი როლი შეასრულა. მაგრამ აქაც თავი ვერ დავაღწიეთ გადახრებს. იყო შემთხვევები, როცა ცალკეული დაუდევარი მუშაკები „გულისწყრომით" ილაშქრებდნენ პატიოსანი ხელმძღვანელის წინააღმდეგ, ზოგჯერ ანონიმურ წერილებსაც გზავნიდნენ. ამ ანონიმურ წერილებზე კი, როგორც რედაქციაში მოსულ ერთ-ერთ წერილშია ნათქვამი, რეაგირებენ უფრო სწრაფად, ვიდრე იხილავენ რაციონალიზატორულ წინადადებებს, ცხადია, რომ კადრების შეცვლა შეცვლისათვის კი არ ხდება, არამედ საქმის ინტერესებისათვის.

უდავოა სოციალისტური დემოკრატიის უპირატესობანი. რაც უნდა ცდილობდნენ ჩვენი იდეოლოგიური მოწინააღმდეგენი საწინააღმდეგოს დამტკიცებას, თვით ცხოვრება, პრაქტიკა მოწმობს, თუ რაოდენ სასარგებლოა იგი. დასავლეთში უყვართ ლაპარაკი „თავიანთი დემოკრატიის" შესახებ. სახელდობრ ვისთვის? — აი, როგორ დგას საკითხი. მხოლოდ ერთი შედარება: სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში მუშები და გლეხები მეტია, ვიდრე განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების ყველა პარლამენტში. ჩვენს ქვეყანაში აბსოლუტური უმრავლესობა მონაწილეობს საზოგადოებისა და სახელმწიფოს ცხოვრების საქმეებში. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს. დემოკრატიის სხვაგვარ განმარტებას სოციალიზმის ბუნება ვერ ეგუება.

ვიზიტად სსრ კავშირში

საბჭოთა მთავრობის მოწვევით 19 მაისს მოსკოვში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა ესპანეთის მთავრობის თავმჯდომარე ფელიპე გონსალესი მეუღლითურთ.

აეროდრომზე ესპანეთის მთავრობის მეთაურსა და მის მეუღლეს დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი მეუღლითურთ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე და სხვა ოფიციალური პირნი. (საქინფორმი).

დაჩქარება ხუთწლედის დევიზია

გვატყობინებენ „კომუნისტისა" და საქინფორმის კორესპონდენტები

თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელ ქარხანაში დაიწყო ვლ-15 მარკის მორიგი ელმავლის აწყობა. სკკპ XXVII ყრილობის წინ ათვისებულმა პირველმა ამგვარმა ლოკომოტივებმა წარმატებით გაიარეს გამოცდა სვერდლოვსკის რკინიგზაზე. 9 ათასი კილომეტრი სიმძლავრის ახალ თორმეტღერძიან გოლათებს უნარი შესწევთ ატარონ მძიმე წონის გრძელშემადგენლობიანი მატარებლები ურთულესი პროფილის ფოლადის მაგისტრალებზე. მათ ნახავთ მოსკოვსა და პეზზაში, სვერდლოვსკსა და კურგანში, ომსკსა და ირკუტსკში. ისინი მტკიცე და საიმედოა ექსპლოატაციის დროს.

ახლა საწარმოში მიმდინარეობს რეკონსტრუქცია. მაგრამ ეს ხელს არ უშლის ელმავალშენებლებს იმუშაონ მთელი სიმძლავრით. ამიტომ ქარხანაში ხორციელდება ტექნიკური და ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებანი, რათა თავიდან აიცილონ ელექტროენერგიის გამოთიშვის, საქვაბის გაცივებისა და სხვა მოულოდნელი შემთხვევები.

ხარისხისათვის პასუხს აგებს ყველა, ურეგიორებად აღარ რჩება წუნის არც ერთი ფაქტი. უხარისხო პროდუქციის გამოშვებისათვის ახლანან, მაგალითად, საბურავების პროტექტორის გადამკერელს ფ. მენოგნიშვილს ხელფასიდან საკმაოდ სოლიდური თანხა დაექვითა, ხოლო პროტექტორის დამპრიფილებელს, ოსტატ პ. კამიშინს საყვედური გამოეცხადა.

ხორციელდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასთან დაკავშირებული ღონისძიებანი, რაც ხელს უწყობს ადამიანთა ფსიქოლოგიის გარდაქმნას, საქმისადმი დამოკიდებულებას შეუცვლას, პასუხისმგებლობის გაძლიერებასა და, აქედან გამომდინარე, წარმოების კულტურის ამაღლებას.

დამონტაჟდა პროტექტორის წყვილ ლენტად დასახვევი მოწყობილობა, რამაც წარმოების მოცულობის გადიდებასთან ერთად ხელი შეუწყო წუნის მკვეთრ შემცირებას, ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებას. მალე ქარხანაში კიდევ ერთი სიახლე დაინერგება: საბურავს წებოს პულვერიზატორით შეაფრქვევენ. ამით გაუმჯობესდება პროტექტორის საბურავზე დამაგრების ხარისხი და დაიზოგება დიდი რაოდენობის წებო.

შესრულებულ სამუშაოებს მუშათა ურთიერთკონტროლი დაუწესდა. ახალბედა მუშების აღზრდისათვის ყველაფერს ზონობენ გამოცდილი ხელოსნები, თავიანთი საქმის ნამდვილი ოსტატები, აგრეთვე ინჟინერ-ტექნოლოგები ლ. ჭიობერაშვილი, ლ. ჩერქეზიშვილი, თ. არჩუაძე და სხვები. საგარეჯოს საბურავების ქარხნის კოლექტივი ყველაფერს იღონებს იმისათვის, რომ თავისი წვლილი შეიტანოს პარტიის მიზნდასახულობათა განხორციელებაში. საწარმოს ბევრი მუშა გამოეხმაურა თბილისელი მუშების — სკკპ XXVII ყრილობის დელეგატების ინიციატივას და გადაწყვიტა მეთორმეტე ხუთწლედის ორი წლის გეგმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისათვის შეასრულოს.

ვლ. მჭედლიშვილი,

სერია ინქიზა ნიმუშით

კურსი—ინტენსიფიკაცია

შემოღებულია მუშათა ერთიერთკონტროლი

საგარეჯოს საბურავების ქარხნის პროდუქცია დიდი ხნის მანძილზე სახელგატეხილი იყო. არ მოსწონდათ საწარმოს კოლექტივის ნახელავი. მომხმარებელთა საყვედურებს, პრეტენზიებს ბოლო არ უჩანდა.

თხრობა წარსულ დროში შემთხვევით როდი დავიწყე. სადღეისოდ საგარეჯოელებმა მდგომარეობა გამოასწორეს, საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ქარხნის დირექციის მისამართით მომხმარებელთა მადლობის ბარათები მოდის. ბოლო ხანს საწარმოს ხელმძღვანელობამ, მთელმა კოლექტივმა ბევრი იღონა ავტორიტეტის მოსახვეჭად და, ალბათ, მოკლე ხანში მეტს მიაღწევენ, თუ არ შესუსტდა საქმისადმი ერთგული დამოკიდებულება. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელების შედეგად დასაშვები ხუთის ნაცვლად წუნის პროცენტმა წარმოების მთლიან მოცულობაში 2,6 პროცენტი შეადგინა, მაგრამ არც ეს არის ცოტა. ამიტომ, კოლექტივი ახლა იმისათვის იბრძვის, რომ არ ჰქონდეს უხარისხო საბურავის დამზადების არც ერთი შემთხვევა. ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის აქ იყენებენ ყველა შესაძლებლობას, მუშაკთა მორალური და მატერიალური სტიმულირების მრავალ ფორმას.

საბურავის დამზადების ტექნოლოგია ჯაჭვურია. წარმოების ერთი რგოლის შეფერხება მთლიანად შლის მთელ ციკლს და ართულებს მუშაობას, აგროვებს საკმაო რაოდენობის წუნდებულ პროდუქციას. ამიტომ ქარხანაში ხორციელდება ტექნიკური და ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებანი, რათა თავიდან აიცილონ ელექტროენერგიის გამოთიშვის, საქვაბის გაცივებისა და სხვა მოულოდნელი შემთხვევები.

ხარისხისათვის პასუხს აგებს ყველა, ურეგიორებად აღარ რჩება წუნის არც ერთი ფაქტი. უხარისხო პროდუქციის გამოშვებისათვის ახლანან, მაგალითად, საბურავების პროტექტორის გადამკერელს ფ. მენოგნიშვილს ხელფასიდან საკმაოდ სოლიდური თანხა დაექვითა, ხოლო პროტექტორის დამპრიფილებელს, ოსტატ პ. კამიშინს საყვედური გამოეცხადა.

ხორციელდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასთან დაკავშირებული ღონისძიებანი, რაც ხელს უწყობს ადამიანთა ფსიქოლოგიის გარდაქმნას, საქმისადმი დამოკიდებულებას გაძლიერებასა და, აქედან გამომდინარე, წარმოების კულტურის ამაღლებას.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმი

გაიმართა საქართველოს მწერალთა X ყრილობის მიერ არჩეული რესპუბლიკის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია გ. შ. ციციშვილი.

გამგეობის მდივნებად არჩეულნი არიან რ. ბ. ამაშუკელი, ხ. მ. ბერულავა, ლ. რ. თაბუკაშვილი, რ. კ. ინანიშვილი, შ. გ. ნიშნიანიძე, ი. ს. ქოზაევი, ჯ. ა. ჩარკვიანი, თ. ი. ჭილაძე, ფ. ი. ხალვაში, ა. ნ. ჯონუა.

რესპუბლიკის მწერალთა ორგანიზაციის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია თ. ა. ჯანგულაშვილი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნ. ენუქიძე.

(საქინფორმი).

მაღალი ნიჭისა

კვლავ გაიბრწყინა სსრ კავშირის სახალხო არტისტის, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატის ზურაბ ანჯაფარიძის ნაშმა. მშობლიური ოქრის თეატრის სცენაზე, სადაც სამ ათწლეულზე მეტი ხნის წინათ დაიწყო მისი ბრავალფეროვანი არტისტული ბიოგრაფია, გასულ შაბათს გაიმართა მომღერლის შემოქმედებითი საღამო, რომელსაც დაესწრნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი და ბ. ვ. ნიკოლსკი. საღამო იქცა ოსტატის 35-წლოვანი სასცენო მოღვაწეობის თავისებურ შემოქმედებით ანგარიშად თბილისელი მსმენელების, პედაგოგებისა და კოლეგების წინაშე.

(დასასრული მე-4 გვ.).

იაკუტ მსახიობთა წარმატება

თბილისში დამთავრდა იაკუტის პ. ოიუნსკის სახელობის სახელმწიფო თეატრის დასის გამოსვლები. მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრის სცენაზე სტუმრები ორ დღეს უჩვენებდნენ თავიანთ ერთ-ერთ საუკეთესო სპექტაკლს „ჩემი სასუფველი ცისფერი ნაპირი...", რომელიც დადგა ჩ. აიტმატოვის მოთხრობის მიხედვით. იაკუტიის თეატრის ამ ნამუშევარს თბილისელი თეატრალები გაეცნენ საქართველოს დედაქალაქში გამართული ახალგაზრდული სპექტაკლების მეორე საკავშირო ფესტივალზე კოლექტივის გამოსვლის დროს. იგი დათვალიერების საუკეთესო დადგმად აღიარეს. საქართველოს თეატრალური საზოგადოების „მეგობრობის" თეატრმა გაითვალისწინა სასცენო ხელოვნების მოყვარულთა მრავალრიცხოვანი თხოვნა და თბილისელ მაყურებელს შესაძლებლობა მიეცა კვლავ შეხვედროდა იაკუტი მსახიობების საინტერესო სპექტაკლს გმირებს.

თეატრის მთავარი რეჟისორის ა. ბორისოვის მიერ დადგმული სპექტაკლი აყენებს დიდი საზოგადოებრივი ეღერადობის პრობლემებს.

იაკუტიის თეატრის ბოლო სპექტაკლს ესწრებოდნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი და გ. ნ. ენუქიძე.

ჯ. ი. პატიაშვილი შეხვდა იაკუტიის თეატრის დასს. მან გულითადად მიულოცა სპექტაკლის მონაწილეებს წარმატებული გამოსვლები თბილისში, მადლობა გადაუხადა შეხვედრით მინიჭებული სიამოვნებისათვის და უსურვა მსახიობებს ახალი შემოქმედებითი მიღწევები, ჩვენი ხალხების სასცენო ხელოვნების ოსტატთა თანამეგობრობის შემდგომი განმტკიცება. (საქინფორმი).

ხალხის სიყვარული — პოეტს

მუზეუმებს ზოგჯერ კაცობრობის სამახსოვრო წერგნებს უწოდებენ. თვალსაჩინო ქართველი პოეტის იოსებ ნონეშვილის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი ამ წიგნის გადაფურცვლაში თანამედროვეებს ამიერიდან დაეხმარება მუზეუმი, რომელიც გასულ კვირას გაიხსნა მის მშობლიურ სოფელ კარდანახში.

... პოეტი ამ სოფელთან მამაშვილური სიყვარულით იყო დაკავშირებული და მას მრავალი ლექსი მიუძღვნა. განცდილის, გრძნობებისა და ფიქრების, დღეებისა და წლების მანძილზე ჩამოქნილი ეს პოეტური სტრიქონები აცოცხლებს ალაზნის ველის საოცარ პეიზაჟებს, კაშკაშა მზით განათებულ შშობლიურ კუთხეს, ეს ლექსები, რომლებიც სიმღერად გადაიქცა, გაისმოდა დინამიკებიდან იმ მუზეუმის გახსნის დღეს, რომელმაც უმასპინძლა მეზობელი რაიონებიდან, თბილისიდან ჩამოსულ მრავალრიცხოვან სტუმრებს, საქართველოს მწერალთა X ყრილობის მონაწილეებს, იოსებ ნონეშვილის ნიჭის დამფასებლებსა და თაყვანისმცემლებს.

იოსებ ნონეშვილის მუზეუმის გახსნისადმი მიძღვნილ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ ამხანაგები ჯ. პატიაშვილი, გ. ანდრონიკაშვილი, ჰ. გილაშვილი, გ. ენუქიძე, ბ. ნიკოლსკი, ვ. ალავიძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ბ. მალკოვი, ს. პოტიომკინი.

(დასასრული მე-3 გვ.).

სახალხო დღესასწაულებზე

„ბარეჯობა"

კვირას, 18 მაისს მეთერთმეტედ გაიმართა ძველთაძველი ქართული მიწის აღორძინებისადმი მიძღვნილი სახალხო დღესასწაული „გარეჯობა". ამ დღეს უდაბნოში ამოქმედდა წყალსადენი, რამაც უდიდესი სიხარული მოუტანა აქაურებს.

ორი ხუთწლედის ისტორიის მქონე სოფლის ცხოვრებაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენისადმი მიძღვნილ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, პ. გ. გილაშვილი, ბ. ვ. ნიკოლსკი, ვ. ი. ალავიძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ს. ვ. პოტიომკინი, რომლებმაც უდაბნოელებსა და დღესასწაულის მონაწილეთ გულითადად მიულოცეს ზეიმი და გამოთქვეს რწმენა, რომ სახელოვანი მშენებლები, სოფლის მშრომელები კვლავაც არ დაიშურებენ ცოდნასა და ენერგიას ამ უძველესი მიწის აღორძინებისათვის.

ამჯერად ზეიმი დაიწყო „ნაომარ გორაზე", სადაც არქეოლოგებმა აღმოაჩინეს დაახლოებით 2500—3500 წლის წინანდელი ნამოსახლარები.

(დასასრული მე-4 გვ.)

ნუნისმკვლელთა ხელნაწერა

„პატიების პოლიტიკა" დაგმობილია

თბილისის „ელექტროაპარატის" საწარმოო გაერთიანების კოლექტივს მოწონაცის სახელი აქვს დამკვიდრებული რესპუბლიკის მრეწველობაში, და არცთუ უსაფუძვლოდ. სისტემატურად გადაჭარბებით სრულდება სახელმწიფო გეგმები ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით.

ყველაფერი ეს შეიძლება საკმარისი იყო ადრე, მაგრამ ახლა, როცა პროდუქციის ხარისხის მაჩვენებელმა პრინციპულად წინა პლანზე წამოიწია, მდგომარეობა შეიცვალა. სსრ კავშირის სახსტანდარტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს მიერ შარშან და წლეულს მოწყობილმა შემოწმებებმა გამოავლინა, რომ პროდუქციის გამოშვება და რეალიზაცია მოთხოვნების დარღვევით ხდება. აქ დამზადებული შუქსასიგნალო არმატურა კონსტრუქციულად მარტივია, მაგრამ მისი ნრახნი, თბომედეგობა, გარეგნული სახე სრულიად უვარგისია. ასევე დეფექტიანი აღმოჩნდა შემოწმებული საყოფაცხოვრებო დანიშნულების გამომრთველები და შტეფსელები. თავად განსაჯეთ: პირველმა მათგანმა ჩართვა-გამორთვას 2 ათასის ნაცვლად მხოლოდ 200-ჯერ გაუძლო. რაც შეეხება შტეფსელებს, მათი კონტაქტის გაწაალეგებისათვის საჭირო ძალა 3,8 კილოგრამამ კი არა, 2 კილოგრამს შეადგენს. ესე იგი სუსტია კონტაქტების მოჭერის ძალა ნორმასთან შედარებით. მცირეა კონტაქტის ზამბარის დაწოლის ძალაც. ამ დარღვევებისათვის გაერთიანების მიმართ ეკონომიკური სანქციები გამოიყენეს.

რატომ ხდება ასე? არ მოწმდებოდა კოოპერაციული და მომარაგების ბაზით შემოსული მასალების, ნახევარფაბრიკატების, მაკომპლექტებელი ნაწილების ხარისხი. საკმარისად ვერ ხორციელდება მზა ნაწარმის, ხარისხის, ტექნოლოგიური დანადგარების, მათი ტექნიკური დონის შეფასების კონტროლი. დადგინდა, რომ მანქანადანადგარების 23 პროცენტს 10-20 წელიწადზე მეტ ხანს უწევენ ექსპლოატაციას. დანადგართა 41 პროცენტი ვეღარ უზრუნველყოფს არათუ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, არამედ ხარისხის სტანდარტობასაც. უკანასკნელ ხანს მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს წნეხფორმებიც. წლეულს დამზადებული ფორმებიდან სამმა საერთოდ ვერ გაუძლო გამოცდას, ხოლო ოთხი ტექნოლოგიური ციკლის უზენი დარღვევის გამო მწყობრიდან გამოვიდა: დაწაწნეხად მდარე ხარისხის ფხვნილი გამოუყენებიათ.

სამწუხაროდ, უხარისხოა რუსთავის იმ ქარხნის კოლექტივის ნახელავიც, რომელიც გაერთიანების ყველა საწარმოს აწვდის სამაგრებს. დეფექტებით მზადდება პლასტმასის დეტალებიც. არ შეესაბამება მოთხოვნებს საკონტროლო და გამომცდელი სტენდები. დაბალია ტექნიკური კონტროლის დონე. გაერთიანების მეთაურ ქარხანაში მომუშავე 196 ტექნიკური კონტროლიორიდან მხოლოდ 3-ს აქვს შესაბამისი ტექნიკური განათლება.

საწარმოს ხელმძღვანელებმა უნდა იცოდნენ, რომ სახსტანდარტის რესპუბლიკურმა სამმართველომ ძალზე გააქტიურა მუშაობა უხარისხო პროდუქციის გამოვლინისათვის და „პატიების პოლიტიკით" აღარ ხელმძღვანელობს.

ბ. ურუტაძე.



სურათზე: პიონერთა პატაკი ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე.

ბ. გენგიშურის ფოტო.

დაგვიანების დღეს გილოცავთ, პიონერებო!

...ქალაქის მთავარმა საათმა ლენინის მოედანზე თორმეტჯერ ჩამოკრა. გაისმის ფანფარების ხმა, ბრძანება: „მოეშზადეთ საერთო საქალაქო საზეიმო ხაზისათვის!" — ისმის ბავშვთა სასულე ორკესტრების მარში და იწყება წითელყელსახვევიანთა პარადი, რომელიც ეძღვნება ნორჩ ლენინელთა ორგანიზაციის 64-ე წლისთავს.

ვ. ი. ლენინის ძეგლს პიონერები ამკობენ ყვავილებით ზეიმის მონაწილეთა სახელით, დგება საპატიო ყარაული. ყოველი რაიონი უპატაკებს საქალაქო შტაბის თავმჯდომარეს, № 14 საშუალო სკოლის მეცხრეკლასელ მიხეილ ჭკუასელს შრომასა და სწავლაში მოპოვებულ წარმატებებს. დღეს დედაქალაქის პიონერთა შორის ექვსი ათასზე მეტი ფრიადოსანია, 30 ათასზე მეტი ბავშვი ყოველწლიურად აქტიურად მონაწილეობს სასწავლო კონფერენციებსა და ოლიმპიადებში, კონკურსებში, ვიქტორინებში

პარტიული ცხოვრება:

საძალაძო კომიტეტი და მშენებლობა

ასე იქმნება ხვალინდელი

რომ აშენო, უნდა იცოდე. ამასთან ბევრი უნდა იცოდე, კარგად იცოდე. თუ ნთქვამს ქვეტექსტს გამოვაცალით და პირდაპირი მნიშვნელობით გავიგებთ და სათქმელსაც უფრო დავაკონკრეტებთ, მივიღებთ: უნდა იცოდე უპირველესად რა აშენო, სად, და, როგორ. და, რაღა თქვა უნდა, მოღვაწეობის სპორლო მიზანი უნდა გქონდეს კარგად გაცნობიერებული — რისთვის, ვისთვის დაშვრები.

დღეს ბევრს ვლაპარაკობთ თავად დროის მიერ დაყენებულ მოთხოვნაზე — უნდა გარდაექმნათ მუშაობა. ამისათვის საჭიროა უპირველესად თავად გარდავიქმნათ, გადავფასოთ ღირებულებები, შეეცვალოთ საქმისადმი ჩვენი დამოკიდებულება და, აქედან გამომდინარე, ჩვენი მუშაობის სპორლო შედეგები. მაგრამ ამოსავალი ყოველგვარ საქმიანობასა და ყველანაირ სიტუაციაში იგივე რჩება. ეს არის გეგმიანობა და გეგმაზომიერება და ამას ვერსად გაივიქციენით.

მეც აქედან დავიწყებ. თავიდან ერთბამად გეტყვით: ვინც ბოლო ოროოდე წელია წყალტუბოში არ ყოფილხართ, შეიძლება გაგიჭირდეთ მისი ცნობა. აქ ისე სწრაფად, თვალსა და ხელს შუა ცვლის ქოხ-მახებს მშვენიერი თანამედროვე ტიპის

ხვალინდელი

შენობები, ბარაკებს — ტიპობრივი თუ არატიპობრივი საცხოვრებელი ბინები, გუბეებს — მუსიკალური შადრევნები, რომ სასიამოვნო გოცება გიპყრობთ. ტემპები მეოცე საუკუნის მიწურულისათვის დამახასიათებელია— ნაწვიმარზე სოკოებივით ამოიზრდება სავაჭრო და საყოფაცხოვრებო ობიექტები, სპორტულ-გაჯანსაღებელი კომპლექსები, სამკურნალო აბაზანები, სანატორიუმები, ფოტოპავილიონი და საყვავილეებიც კი.

ყველაფრის ამოსავალი ქალაქის გენერალური გეგმაა, რომელიც ამ ორი-სამი წლის წინათ შეიქმნა, როდესაც ქალაქის ახალმა ხელმძღვანელობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მშენებლობას. როცა რაიონის მთავარ არქიტექტორად ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ავტორიტეტ-მოგიდილი სპეციალისტი სულიკო გაგუა დანიშნეს, განყოფილებაში მხოლოდ ერთი სპეციალისტი მუშაობდა. არქიტექტორთან არსებული საპროექტო-საწარმოო ჯგუფის საქმიანობაც მეტისმეტად მოკრძალებულად გამოიყურებოდა. ახლა სულიკო გაგუა და მისი თანამოაზრენი, თანდათანობით ქმნიან, ახალგაზრდა სპეციალისტები — ზურაბ ვაშაკიძე, ირაკლი გაბრიაძე, გოჩა ხვიჩია, ინეზა გელენიძე, ფაზულ მირზოევი, რომლებსაც მუშაობის, ყოფა-ცხოვრების კარგი პირობები შეუქმნეს, სწორედ იმგვარი სიყვარულითა და ენთუზიაზმით ეკიდებიან საქმეს, ურომლისოდაც ქვის ქვაზე დადებას აზრი არა აქვს. და ეს, საქმისადმი მათი ამგვარი დამოკიდებულება, ყველა მათს ნახელავს ატყვია.

„ლოდინი“ და ხსოვნის ტაძარი

ფერდობზე, სოფელ გვიშტიბთან, ძმათა სასაფლაოს იქით სოფლის სასაფლაოზ (ძმათა სასაფლაოზე წყალტუბოს ევაკოჰოსპიტალში დაღუპულთა ომის მონაწილენი არიან დაკრძალულნი). აქეთ ჩიმშვლებულ ფერდზე ხსოვნის ტაძარი აღმართეს წყალტუბოელებმა.

დიდხანს ეძებდნენ ადგილს, სადაც ამ არდავიწყების კიდევ ერთი გამოხატულება უნდა აღმართულიყო. ეს არის არქიტექტორების ვაჟა მელიქიშვილის და ვახტანგ დავითაიას სკულპტურული გამოსახულება „ლოდინი“. სკულპტურა შემაღლებულ ადგილას დაიდგმება, ერთ-ერთ სოფლთან. მის მიიმა გამვლელი სოფელს დაინახავს თავისი დღევანდელობით, სიცოცხლით, ფერებით.

მომავლის სახელით

წარსული — მარადი არდავიწყება! მაგრამ ის, რაც დღეს კეთდება, შენდება, იქმნება, დღევანდლისათვის, მომავლისათვის, მერმისის სახელით კეთდება. ასეთია ცხოვრების დიალექტიკა, სიცოცხლის არსი და აზრი. და წყალტუბოშიც იმ პრინციპით მოქმედებენ, პარტიის XXVII ყრილობაზე არაერთხელ რომ გაესვა ხაზი, — რომ არ შეიძლება გვქონდეს უფრო მნიშვნელოვანი და საპატიო მისია, ვიდრე ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაა.

მოღვაწეობის მიზანი ვახსენე ზემოთ. მხოლოდ კეთილის თესლიდან აღმოზრდილი მორჩია კეთილი, ასევე მხოლოდ კეთილი საწყისიდან წამოსული და ასევე მიზნისაკენ მიმართული საქმეა სიცოცხლისუნარიანი და გამართლებული. ამგვარი საწყისიც და მიზანიც ჩხოლოდ ერთი შეიძლება იყოს — ადამიანის კეთილდღეობა. და წყალტუბოელთა ყოველდღიურ საქმიანობაშიც ყველაზე პოზიტიური მომენტი სწორედ ეს არის. შარშან ერთი რაიონის ხელმძღვანელობა მკაცრად გააკრიტიკეს, რადგან, როგორც გამოირკვა, ხალხს სასმელი წყალი უჭირდა, საბავშვო ბაღები არ ჰყოფნდათ, არანაირი ჩიმსახურება თავის დროზე არ ჰქონდათ, და ამ დღის პომპეზური თეატრონები შენდებოდა. დღევანდელ ადამიანს მოთხოვნილება და გემოვნება გაზრდილი, დახვეწილი აქვს. თეატრონიც სჭირდება, ფეშენებელური საკონცერტო დარბაზიც და ქორეოგრაფიული სტუდიაც, მაგრამ ეს ყოველი მხოლოდ იმის შემდეგ, რაც მოწესრიგდება ის ურთულესი და უმნიშვნელოვანესი ეტაპი ჩვენი ცხოვრებისა, რომელსაც ყოფას ვეწოდებთ.

ზონაში ერთიმეორის მიყოლებით დაანგრიეს ბარაკები. ახლა აქ ამგვარი ტიპის საცხოვრებელი სახლები თითქმის აღარ არის. ამის წინათაც 400 ოჯახი შესახლდა ახალ ბინებში. შენდება მაღლივი საცხოვრებელი კორპუსები, ასევე პარალელურად ვთარდება ინდივიდუალური ბინათმშენებლობა. ისე რომ, ადამიანს საშუალება აქვს თავის შესაძლებლობების და გემოვნებისდარად ამოირჩიოს და მოიწყოს ბინა. შენდება და წლის ბოლოსათვის უკვე დამთავრდება წყალსაღები, რაც საბოლოოდ დაკმაყოფილებს წყალზე მოსახლეობის მოთხოვნილებას.

სერვისი წყალტუბოში, მართალაც რომ, ნეტეწილად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. აქ ფუნქციონირებს გაკრავების პუნქტი, რომელიც ემსახურება როგორც დამსვენებლებს, ასევე ადგილობრივ მოსახლეობას. პუნქტიდან შეიძლება მაცივრის, სტერეომაგნიტოფონის, რადიომიმღ ე ბ ი ს, ფოტოაპარატის, საბავშვო ველოსიპედის, აკორდეონის, თერმოსის ბატანა. სადისპეტჩერო პუნქტი მოსახლეობის სხვადასხვა შეკვეთას ასრულებს. ეს არის რეცხვა, ღებვა, ქიმიური წმენდა. ხან ერთი ოჯახი 250 სხვადასხვა დანიშნულების ნივთს გზავნის პუნქტში სხვადასხვა მიზნისათვის (საკონლის მოტანა-წაღება პუნქტის მანქანით არის უზრუნველყოფილი). სერვისს კიდევ უფრო გაუმჯობესებს საყოფაცხოვრებო ჩიმსახურების ახალი კომბინატი, რომელიც წელს გადაეცემა საექსპლოატაციოდ.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება გზების გაყვანას. მომთავრებულია პირველი წრიული გზის მშენებლობა, სულ მალე დამთავრდება მეორეც.

გენერალური გეგმის მიხედვით წყალტუბო სამ წრიულ ნაწილად იყოფა. შუაგული, ყველაზე პატარა ფართობი, ბალნეოზონაა, სადაც აქაურ უნიკალურ სამკურნალო წყლებზე აბაზანებია მოწყობილი; პირველ და მეორე ზონას შორის სანატორიუმები და პანსიონატებია გაშენებული, ხოლო მეორე და მესამე — პერსპექტიულ ნაწილს შორის ტყეპარკი გაშენდება, რომელიც, როგორც იტყვიან, კურორტის ფილტვების როლს შეასრულებს.

სანატორიუმების მშენებლობაც სხვა გზით მიდის. შენობები კი შენდება, მაგრამ საწოლების რიცხვი არ იზრდება, რაც იმას ნიშნავს, რომ რადიკალურად უმჯობესდება დამსვენებელთა საყოფაცხოვრებო პირობები. სამკურნალოდ ჩამოსულები ძირითადად ერთ და ორადგილიან ოთახებში მოეწყობიან.

მალე დამთავრდება 32-ბლოკიანი აბაზანის მშენებლობა, როგორიც დღეს რვაას დამსვენებელს მოემსახურება. ამით ძირითადად გადაწყდება კურორტის ერთ-ერთი მტკივნეული პრობლემათაგანი — მოისპობა შეუსაბამობა საწოლ ადგილებსა და აბაზანებს შორის (საწოლი ადგილები გაციცლებით მეტია, ვიდრე აბაზანები).

ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს პანსიონატ „საქართველოს“ აღდგენითი ცენტრი, რომელსაც მოელი სამი სართული აქვს დათმობილი. აქ მრავალგვარ გამოჯანსაღებელ საშუალებას იყენებენ — სამკურნალო წყლებს გარდა ეს არის ფიზჯუღტურა და სპორტი, ფსიქოლოგიური ფაქტორები და სხვ. მომსახურე პერსონალი ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის რუდოლფ ზაგაინოვის ხელმძღვანელობ ი თ დამსვენებლებს უდიდეს სამსახურს უწევს. სიანსების დროს ისინი აეროთერაპიის, მუსიკის, სპორტის მოშველიებით ადამიანებს ეხმარებიან საკუთარი თავის მართვის ხელოვნების დაუფლებაში. შედეგები დამაიმედებელია, აწაზე მეტყველებს ის მდიდარი ფოსტა, რომლიც ცენტრს თავის არსებობის მცირე ხნის მანძილზე დაუგროვდა.

რომ... რომ... და ათასი პიროგითობა

ვის არ მოგვისმენია პირობით წინადადებათა მთელი წყება ნართვის სხვადასხვა რგოლში—ასე **რომ** იყოს და ისე არა... ამაზე **რომ** ხელი მამიწედებოდეს... სოფელსაც ავაშენებდით... რის თქმა მინდა: როდესაც საქნე, ესე იგი ასაშენებელ-გასაკეთებელი ბევრად სჭარბობს შესაძლებლობებს, გეგმით გათვალისწინებული, მაგრამ იაფად შენების სხვა გზებიც უნდა ვეძიოთ. ჰოდა, აქაც ეძიეს და ზოგ-ზოგი რამეები იპოვეს კიდეც. მაგალითად, მშენებლობა ძირითადად მორიტის ქვით მიმდინარეობს. მორიტი იტალიელი ჩშენებელი იყო, რომელიც საქართველოში მუშაობდა. თეთრი სილითა და ამავე ფერის ღუღაბით დამზადებული ქვით აშენებდა. მისი გარდაცვალების შემდეგ ამ ქვის დამზადების ტექნოლოგია დაკარგულია ნიეცა. წყალტუბოში იგი ალადგინეს და მშენიერად იყენებენ. ამ ქვით შენდება, მაგალითად, 2500 კვადრატულმეტრიანი სავაჭრო ცენტრი თავის ორასადგილიანი სასადილოთი, ასადგილიანი კაფეთი, ცენტრალურ ნაწილში პატარა კოხტა აუზით, გარშემო კაფეტერიით, აგრეთვე ფეშენებლური კინო-საკონცერტო დარბაზი და მრავალი სხვა ობიექტი. სიტყვამ მოიტანა და ამ დარბაზის პარალელურად ნეს ეზოში მუსიკალური მადრეკანი კეთდება.

რეკონსტრუქცია ჰქვია იმ საჩუშაოებს, რომლებიც სამხატვრო გალერეაში მიმდინარეობს. მაგრამ ეს სამუშაოები იმგვარი სახეს იღებს, საქმისადმი იმგვარი დანოკიდებულებით სრულდება, რომ შენობა სრულიად ახალს ემგვანება. ეს უპირატესობა აქვს საქმის გულით და არა მხოლოდ ხელით კეთებას. ეს ემჩნევა ყველა დიდსა თუ მცირე ობიექტს, რაც კი ამ ბოლო ორ-სამ წელიწადში აშენებულა და შენდება წყალტუბოში, რომლითა ჩხოლოდ ჩამოთვლა საკმარისია სურათის სრულყოფილად წარმოდგენისათვის. ზემოხსენებული ობიექტების გარდა, ეს არის ათასადგილიანი დიეტური სასადილო, ქორწინების სახლი თავისი მაღაზია „საბედნიეროთი“, კაფეთი და სასადილოთი, 12-ათასადგილიანი სტადიონი, სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი ერთიანად ფიჭვნარში ჩამჯდარა კეთილმოწყობილი ფინური სახლებით, ფეხბურთის მოედნებით (მომავალში აქ ჩოგბურთისა და კალათბურთის მოედნებიც მოეწყობა), სამუსიკო სკოლა, სახელდახელო მომსახურების კაფე, ქალაქის რაჩოდენიმე მოედანი და სხვა.

ძალზე საინტერესო ჩანაფიქრია ამქამად მიტოვებული და დაბინძურებული ციცი ტბის მადამოების კულტურისა და დასვენების ერთ-ერთ აქტიურ ადგილად გადაქცევა. მაგრამ ეს უკვე მომავლის საქმეა. სამომავლოდ აქ ძალზე დიდი გეგმები აქვთ, რაზეც დღეს არაფერს ვამბობ.

ახალი ტრადიცია

სტიქიურად არა საქმე არ გამოდის, ყოველგვარი ნამოქმედარი სრულყოფილ სახეს მხოლოდ მაშინ იღებს, როდესაც ნას სწორად წარმართავენ, კარგად ხელმძღვანელობენ. ახალ არაფერს ვამბობ. არაერთხელ აღიარებულ ჭეშმარიტებას ვიმეორებ მხოლოდ. წყალტუბოელ მშენებელთა წარმატებებიც დარგის სწორი მართვის ქმედითი პარტიული ხელმძღვანელობის სრულიად კანონზომიერი შედეგია. საკმარისია თუნდაც ის ფაქტი, რომ აქ დაძლეულია არქიტექტორთა და მშენებლთა მარადიული ოპოზიცია. მშენებლები ისე აშენებენ, როგორც პროექტშია და არა ისე, „როგორც გამოდის“.

პარტიის რაიონული კომიტეტის ბიუროს სხდომებზე ხშირად იხილება მშენებლობის საკითხები. ყოველ შაბათს ადგილებზე გასვლით ამოწმებენ, როგორ მიმდინარეობს კაპიტალური მშენებლობა. გადაუდებელ მოსაგვარებელ პრობლემებს იქვე ოპერატიულად წყვეტენ. ორშაბათობით კი რაისაბჭოს აღმასკომში კეთილმოწყობის სამუშაოებს იხილავენ, კონკრეტულად ამოწმებენ, როგორ შესრულდა წინა კვირას განაწილებული დავალებები, რა დარჩა შეუსრულებელი და რატომ. ამგვარი ანალიზის საქმეს ადგება.

— მთავარ ყურადღებას ჩომეხოვნელობას და პასუხისმგებლობას ვუთმობთ. მოგვგმილი უნდა გაკეთდეს: ამასთან უნდა გაკეთდეს ზუსტად ისე, როგორც საჭიროა და არა ვალის ბოდიის მიზნით. საქმისადმი აღგვარ მიდგომას მოსდევს ის შედეგები, რომლებიც დღეისათვის გვაქვს. — ამბობს პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. აბზიანიძე.

ის სასიამოვნო სიახლეც ყოველივე ზემოთქმულის შედეგია, რომელმაც ზონაში ტრადიციად დამკვიდრება მოასწრო უკვე — ყოველ დღესასწაულზე რომელიც ახალ ობიექტს აბარებენ და ამას ყოველთვის საზეიმო ელფერი ეძლევა.

დრო გადის.

დღე დღეს მისდევს, თვე — თვეს.

წყალტუბო იზრდება, იცვლება, მშვენდება; ღვწით, რუდუნებით იქმნება, იძერწება ხვალინდელი, იქარგება მერმისის პანო და ეს უაღრესად კეთილშობილური მოღვაწეობაა.

გ. ხარებავშვილი.

ნაკლოვანებებს უთუოდ აღმოვფხვრით

ბელორუსიის, უკრაინის, საქართველოს, ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროები, რომლებმაც დარგში გასულ წლებში სხვებთან შედარებით უფრო დამაჯერებელ შედეგებს მიაღწიეს, სხრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, მიმდინარე წლიდან მუურნეობრივობის ახალ სისტემაზე გადავიდნენ. მათთვის დაწესდა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, რომელთა შესრულება ახლებურად მუშაობის უცილობელი პირობაა. ამ სამინისტროთა გამოცდილება მომავალში ქვეყნის მასშტაბით უნდა გავრცელდეს. ახლებურად მუშაობა გულისხმობს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე დაურდნობით ტვირთზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის მხრივ მოთხოვნების უფრო სრულ დაკმაყოფილებას, ტვირთზიდვის დაგეგმვისა და ორგანიზაციის გაუმჯობესებას, შრომითი კოლექტივების შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებას, ტრანსპორტის ეფექტიანობის ზრდისათვის მათი პასუხისმგებლობისა და დაინტერესების გაძლიერებას, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებას.

მაშ ასე, ჩვენი რესპუბლიკის საავტომობილო სამინისტრო იმ ოთხეულშია, რომელსაც წილად ხვდა პატივი სხვებს მისცეს ახლებურად მუშაობის მაგალითი.

ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მეთერთმეტე ხუთწლედში ტვირთზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის მოცულობის, ცენტრალიზებული, კონტეინერებით გადაზიდვის გადიდების, მისაბმელების გამოყენების მიმართულებით სამინისტროს საწარმოებმა ერთ-ერთ საუკეთესო შედეგს მიაღწიეს.

დიახ, ავტომობილისტების მიღწევებზე მეტყველებს ფაქტები და მათ გვერდს ვერ აუვლი. სხვა საქმეა, რომ მიღწევებთან ერთად ბევრი ნაკლი აქვთ, და ეს აღინიშნა კიდეც საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე. ამ საკითხზე პრინციპული სჭა-ბაასი გაიმართა მიმდინარე წლის თებერვალში გამართულ ავტოტრანსპორტელთა აქტივის თათბირზე, რომელშიც ამხანაგი ჯ. ი. პატიაშვილი მონაწილეობდა.

თათბირმა დაასკვნა, რომ საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობა ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს დროის მოთხოვნებს. იმას, თუ როგორ პირებენ ავტომობილისტები ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, რა კონკრეტული გზები დასახეს საამისოდ, ქვემოთ მოგახსენებთ. ჯერ კი მათ წინაზე მდგომ ძირითად ამოცანებზე გვიამბობს რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი თ. დავითაშვილი.

ამოცანები მეტად რთული და პასუხსაგებია. ქვეყნის ეკონომიკურ-სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებების თანახმად, მეთორმეტე ხუთწლედის დამლევისათვის ტვირთზიდვა 21,2 პროცენტით, ხოლო მგზავრთბრუნვა 15,9 პროცენტით უნდა გაიზარდოს. ამიტომ შემუშავდა დარგის კომპლექსური განვითარების გეგმა. მთავარი ყურადღება ეთმობა სატრანსპორტო საშუალებათა ეფექტიანობის გაზრდას მისაბმელების და ნახევრადისაბმელების გამოყენებით. მისაბმელით - გადატანილი სახალხოსამეურნეო ტვირთის ხვედრითი წილი 12,5 პროცენტს მიაღწევს. განსაკუთრებით განვითარდება ცენტრალიზებული ტვირთზიდვა, გასულ ხუთწლეულში ცენტრალიზებული წესით 80,8 მილიონი ტონა ტვირთი მიიტანეს დანიშნულების ადგილას, რაც ნიშნავს, რომ მისმა ხვედრითმა წილმა საავტომობილო ტვირთზიდვის მთლიან მოცულობაში 46 პროცენტი შეადგინა და ეს ჩნიშვნელოვნად აღემატება საშუალო საკავშირო მაჩვენებელს. მომდინარე ხუთწლეულში ცენტრალიზებული გადაზიდვის მოცულობა კვლავ უნდა გადიდდეს 21 პროცენტით. ეს საკმაო რთული დავალებაა და ავტოტრანსპორტელებს მრავალი დაბრკოლების გადალახვა მოუწევთ.**

— ჩვენს გარკვეულ მიღწევებს პირდაპირ ხაზი გადაუსვა „ტრანსვაჭრობის“ ყოფილი დირექტორის ი. ბაკაშვილისა და №8 ავტოკოლონის უფროსის ნ. ჭავჭავაძის მიერ ჩადენილმა უმძიმესმა დანაშაულმა. მათ ჩირქი მოსცხეს ავტოტრანსპორტელებს, რომელთა უმეტესობა თავდადებით შრომობს საკეთილო საბოლოო შედეგებისათვის და აღწევს კიდეც მიზანს, — ამბობს რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი თ. დავითაშვილი. — ამ საგანგებო, შემთხვევას ყველანი ღრმად განვიცდით, ამით აღშფოთებულია ყველა ჩვენი პატიოსანი მუშაკი. ამბავი, რომელმაც ლაფში გასვარა კოლექტივი, ღრმად განალიზდა. ავტოტრანსპორტელთა აქტივის სამუშაო თათბირზე და დაისახა ნაკლოვანებების აღმოფხვრასთან დაკავშირებული ღონისძიებები. ეს ლიტონი სიტყვები როდა. მოშავალ აქტივის თათბირს, რომელიც მიმდინარე წლის ივლისის დამდეგს გაიმართება, დეტალურად უნდა მოხსენდეს იმის თაობაზე, თუ რა შედეგს მიაღწევთ დაუნდობელ ბრძოლაში ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ.

მუშაობა ამ მხრივ დაწყებულია, გაფრთხილებულია ყველა, რომ წესრიგის დაო�ეს ორი ერთი შეთხვევა არ დარჩება ურაგიერებოდ, უწინარეს ყოვლისა მკაცრად დავსჯით საწარმოთა ხელმძღვანელებს. მოვიქცევით ისე, როგორც ახლახან მოვიქეცით ავტოსადგურებისა და საქალაქთაშორისო გადაზიდვის რესპუბლიკური დირექტორის მოადგილეს მ. გაბრუაშვილს, ავტოსატრანსპორტო საწარმოს მთავარ ინჟინერს ე. ვაშაკიძეს, ექსპლოატაციის უფროსს ო. ბურჯალიანს. ისინი ახლახან გაავნთავისუფლეთ თანამდებობიდან იმისათვის, რომ

გვესაუბრება რესპუბლიკის

საავტომობილო ტრანსპორტის

მინისტრი

თ. დავითაშვილი

მათდამი დაქვემდებარებულმა მძღოლებმა არადანშნულებისამებრ გამოიყენეს ტრანსპორტი და აზარბაიჯანიდან თევზი შემოიტანეს სასპეციალიოდ. რაც შეეხება საწარმოს დირექტორს ჯ. ბარქაიას, იგი ამ დროს ავად იყო, მაგრამ როგორც კი გამოვა სამუშაოდ მის თანამდებობაზე ყოფნა-არყოფნის საკითხზეც მთელი სიმკაცრით ვიმსჯელებთ.

რეისში ტექნიკურად გაუმართავი არც ერთი მანქანა არ უნდა გავიდეს. წინაღმდეგ შემთხვევაში საწარმოს დირექტორი და მისი მოადგილეები დაუყოვნებელივ დატოვებენ თავიანთ ადგილებს. ჩვენ საჯაროდ ვაცხადებთ, რომ სათადარიგო ნაწილებით ვავრობის, გამოძალვის ყველა შემთხვევა ყაჩაღობის ტოლფასია და აქ ნურავის ექნება შეწყალების იმედი. უშუალო დანაშაულები ნომერ სისხლის სამართლის წესით დასჯიდენ, ეს თავისთავად ცხადია, მაგრამ სამსახურიდან მოიხსნებიან ის ხელმძღვანელებიც, რომელთა ორგანიზაციებშიც ეს გამოაშკარავდება. მიღებულია ზომები, რათა ამ მხრივ გზები გადავუკეტოთ ყველა ჯურის თაღლითსა და არამზადას. სათადარიგო ნაწილების საწარმოებში გაგზავნა ახლა ცენტრალიზებულად ხდება, ისინი აღარ მოხვდებიან სხვადასხვა რანგის „მომმარაგებლების“ ხელში.

მიღებულია ზომები საქალაქთაშორისო სამგზავრო ტრანსპორტის მუშაობის ნამდვილი გაუმჯობესებისათვის, მძღოლთა დაუდეგრობასა და უხეშობის შემთხვევათა აღმოფხვრისათვის. დაწესდა საპატრულო მანქანები, რომლებიც მკაცრად აკონტროლებენ ტრასებზე ავტობუსების მძღოლებს, სააკარაზე გამოჰყავთ გამომძალველები, სახელმწიფო სახსრების მიმთვისებლები, უბილეთო მგზავრთა გადაყვანის მოყვარულები... საერთოდ, არ დავინდობთ იმ მეურნეობების დირექტორებს, რომელთა მძღოლებიც უბილეთო მგზავრებს წაიყვანენ.

მტკიცედ დავიცავთ მძღოლების რეისისწინა სამედიცინო შემოწმების პრინციპს. ახლა საწარმოებში, სადაც 300 მძღოლია, სამედიცინო პუნქტები შეიქმნა, ხოლო სადაც მძღოლთა რაოდენობა ნაკლებია, ჯანმრთელობის სამინისტროსთან შეთანხმებით ასეთი პუნქტები იქმაც ყალიბდება.

ვაჭრობის მძღოლებისათვის მუშაობის, დასვენებისა და კვების ნორმალური პირობების შექმნასთან დაკავშირებული ღონისძიებების გეგმის განხორციელებას. მარშრუტების ბოლო გაჩერებაზე, სადაც მძღოლებს ღამის თევა უხდებათ, ჯერაც არ არის მოგვარებული მათი რძის ნაწარმოთა და ჩაით უზრუნველყოფის საკითხი. ეს საკითხი დაუყოვნებლივ უნდა მოგვარონ

ვაჭრობის საქონლისტრომ და ცენტრალურ ბაზრებისა და ფუშეთის ავტოსადგურებში მძღოლებს დასასვენებლად გამოიყოფ ოთახები, ელექტრალში ამ მხრივ წელიწადი დაბარდება ფოთის, მაიკოფისის და ბათუმის ახალ ავტოსადგურებშიც. ეს საკითხები წელიწადს, ამქმედდება, ან მძღოლთა დასასვენების პირობებიც შეიქმნება. ხანდისა შორის, ...ბრ... ...ეფექტიანი, სამუშაოებ... 8-9 ...ეფექტიანი შენდება და ვერ დაადგა მის დამთავრებას საშველი. დროულად უნდა გამოვნახოთ საშუალებანი, რათა საცხოვრებელი ბინებისა და სოციალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტების შენებლობისათვის უთუოდ გამოეყოთ ავტტრანსპორტელებს კაპიტალდაბანდებანი. ამ საკითხის მოგვარებაში მეტი პრინციპულობა უნდა გამოვიჩინოთ თვით ჩვენ და ვადამწყვეტი სიტყვა თქვას რესპუბლიკის საგეგმო კომიტეტმა. ავტოტრანსპორტელები არ გატეხავენ სიტყვას, რომელიც ამბ. ჯ. პატიაშვილს მისცეს მასთან შეხვედრისას აქტივის თათბირზე.

ერთი რაიონის ორი

კოლმეურნეობის

სხვადასხვა შედეგი

დაუძლეველის დაძლევის წყურვილი

ორიოდე სიტყვა კეხვის ავადადებაზე: ცხინვალის რაიონში კეხვი ერთ-ერთი ძველი სოფელია. სკოლის, მაღაზიისა და ბაგა-ბაღის გარდა სოფელში არის წისქვილი, ამბონო, კლუბი, საყოფაცხოვრებო მომსახურეობის კომბინატი, სასაუზმე. ხალხი გამრჯე, პატიოსანი და თავისი სოფლის მოყვარულია. ყოველ შემთხვევაში, ასეთად თვლიდნენ მაშინ ჩოცა აქ კოლმეურნეობა ძლიერი იყო, როცა შარაზე დაგდებული ჭარხალს ერთი კაცი მეორეს არ გაატანდა — კოლმეურნეობისაო.

დღეს კოლმეურნეობაში, რომელსაც მესამე წელია ნოშრევან კანანაშვილი უფროსობს, 1086 შრომისუნარიანიდან მხოლოდ — 250 კაცი მუშაობს. მთ შორისაც თითზე ჩამოითვლება ისეთები, რომელსაც საკალდებულო მინიმუმი (წელიწადში 178 კაცდღე) აქვთ ნამუშევარი. უმეტესობა მოსაჩვენებლად თუ წამიუშავებს 20_30 დღეს, მერე კი ან თავის საკარმიდამოშია, ან სოფლიდან სხვაგან მიდის. ხელმძღვანელები სოფლიდან ხალხის წასვლის მიზეზად რაიონის ცენტრის სიახლოვეს თვლიან, კოლმეურნეები ქალაქში იოლ სამუშაოს ეძებენ და შოულობენ კიდეცო. მაგრამ ხელფასების უწყისები სულ სხვას ღაღადებს, რომ აღარაფერი ვთქვათ მცირე გამომუშავებაზე. მაგალითად, მოწინავე კოლმეურნედ თვლილან აბელ ბასიშვილს, მას შარშან თვეში საშუალოდ 50 (!) მანეთი აქვს მიღებული. ამასთან, თითქმის დაკანონებულია ხელფასების 3-4 თვით დაგვიანებით გაცემა, კოლმეურნეობა ფულად ანაზღაურებაზეა და ამიტომაც კოლმეურნეობის შემოსავალიც ძირითადად ხელფასზეა დამოკიდებული. ამასთან ეს მცირე ხელფასიც თუ 3-4 თვის დაგვიანებით მიიღეს, რა გასაკვირია, რომ კოლმეურნე მეტი და რეგულარული ხელფასისათვის სხვაგან წავიდეს ან თავის საკარმიდამოს, საიდანაც 2-6 ტონამდე ვაშლს იღებს, უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს, ვიდრე კოლმეურნეობისას. როგორც აგვიხსნეს, ხელფასის ასე დაგვიანებით მიღებას იწვევს საკმაოა სოლიდური ვალი — 633 ათასი მანეთი ბანკისა და 215 ათასი მანეთი — სხვადასხვა ორგანიზაციისა.

რატომ აქვთ ვალი? მოდით, გავხსნათ ფრჩხილები: კოლმეურნეობას 360 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი ჰყავს. აქედან 137 სული მეწველი ძროხაა. სახნავ-სათესად გამოყოფილი აქვთ 155 ჰექტარი; 350 ჰექტარი სამთავარი კი მხოლოდ წელს მიიღეს ჯავის რაიონში, ისიც ხუთი წლის ვადით. ამ პირობებში მესაქონლეობას, რომელიც აქ წამყვან დარგად ითვლება, დიდი სიძნელეები აწყავს და ხელმძღვანელობაც ყოველ ღონეს უნდა ხმარობდეს, რომ უხვი მოსავალი მიიღონ და საკვები სამყოფი ჰქონდეთ. საკვები თუ მაინც არ იყოფათ — მეზობელი რაიონებიდან დროულად უნდა შემოზიდონ, რათა ძვირი არ დაუჯდეთ. აქ კი პირიქით ხდება: ხუთი წლის განმავლობაში თითქმის არც ერთხელ არ მიუღიათ საკვები ჭარხლის, სასილოსე სიმინდისა და ერთწლოვანი და მრავალწლოვანი ბალახების საგაგმო მოსავლის ნახევარიც კი. იმის მაგივრად, რომ თიბვის დაწყებიდანვე ვიმიმარაგონ საჭირო რაოდენობის თივა და სხვა დამატებითი საკვები, თითოეთითო გზობა შემოაქვთ სხვადასხვა რაიონიდან, ოაც კიდევ უფრო აძვირებს საკვებს და ხშირად სამყოფად არც აქვთ. ამიტომ პირუტყვი დაუჯანდაგდებათ ხოლმე. მოუვლელი და დაუთბუნებელია მეძროხეობის ფერმა, რომლის შეკეთებაზე, ალბათ, აშენების დღიდან არავის უფიქრია. არც მწველავთა მძიმე შრომას აქვს შესაფერისი დაფასება. მოწინავე მწველავი თინა კახნიაშვილი, რომელიც 34 ძროხას უვლის და თავის შრომით ბევრს რაიონშიც არ უდებს ტოლს, გულნატკენი და უკმაყოფილოა. მან შარშან 34 ძროხიდან 34 ხბო მიიღო და შეინარჩუნა. ასე იყო წინა წელსაც. კოლმეურნეობაში დადგენილი წახალისების წესის მიხედვით მას ორი ხბო ერგებოდა, მაგრამ არც ერთი არ მიუღია; თავმჯდომარე დაგვპირდა, რაც ჩემს აქ ყოფნაში (ესე იგი ორი წლის განმავლობაში) დააკლდა, მივცემ, დანარჩენი მე არ მეკითხება. მისი ნათქვამიდან ისე გამოდის, ხვალ რომ ახალი თავმჯდომარე მოვიდეს, თინა კახნიაშვილი კვლავაც ხელცარიელი დარჩება. თუ ამას დაეუმატებთ ხელფასების 3-4 თვით დაგვიანებას, რასაც აქ ისეთი სისტემატიური ხასიათი აქვს, რომ სხვანაირად ვეღარც კი წარმოუდგენიათ, თავად განსაჯეთ, რა გული ექნება მუშაკაცს.

ნორმალური სამუშაო პირობების უქონლობა კი უნდობლობას იწვევს როგორც ხელმძღვანელობის, ისე ყოველივე ანლისადმი. მაგალითად, უვანიგო ბრიგადის შექმნა აქ, ამ პირობებში, ყოვლად შეუძლებელია. არადა, თუ ვინმე უნდა იყოს უგანრიგო ბრიგადის შექმნის მომხრე, სწორედ აქაურები უნდა იყვნენ, მაგრამ აქ თითო-ოროლა მოწინავე, როგორც აღვნიშნეთ, ხელმძღვანელობის დაუდეგრობით იჩაგრება.

სკკპ XXVII და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობებზე გარკვეითი ითქვა და მას შემდეგ ბევრი დაიწერა იმაზე, თუ საქმიანი აგიტაციისათვის რა დიდი ძალა აქვს ხელმძღვანელის პირად ღირსებებს. სანიმუშოდ შორს წასვლა კეხველებს არ დასჭირდებათ, შეუძლიათ მოიყვანონ მაგალითი იმავე ცხინვალის რაიონიდან.

კეხვიდან სულ რამდენიმე კილომეტრზე მდებარეობს ძარწემის კოლმეურნეობა. კეხვისაგან განსხვავებით, სადაც სასოფლო საბჭოა განლაგებული და სოფლის კეთილმოწყობასაც მეტი ყურადღება ექცევა, ძარწემს არაფერი გაჰბნდა, სკოლის, მაღაზიის და ერთი ციცქნა, ძველისძველი ბიბლიოთეკის გარდა. კინოფილმებს კი ღია ცის ქვეშ, რომელიმე გლეხის

ᲕᲘᲐᲠᲐᲚᲝ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡᲗᲕᲘᲡ, ᲣᲝᲛᲝ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡᲗᲕᲘᲡ

ᲑᲘᲠᲗᲕᲣᲚᲘ ომის თავიდან აცილებისა და გამალებული შეიარაღების ალაგმვის, კოსმოსური სივრცის მილიტარიზაციის თავიდან აცილების, ხალხთა შორის ნდობისა და უშიშროების განმტკიცების პრობლემები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეგიონალური კონფერენციის ყურადღების ცენტრშია. იგი 19 მაისს გაიხსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში. კონფერენცია ეწყობა განიარაღების მსოფლიო კამპანიისა და მშვიდობის საერთაშორისო წლის ფარგლებში. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობენ ავტორიტეტიანი საერთაშორისო და ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაციების, მათ შორის მშვიდობის მსოფლიო საბჭოს, ქენევის განიარაღების არასამთავრობო ორგანიზაციების სპეციალური კომიტეტის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელშემწყობი ასოციაციების მსოფლიო ფედერაციის წარმომადგენლები, აგრეთვე ევროპის ქვეყნების, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის თვალსაჩინო მეცნიერები, დიპლომატები და საზოგადო მოღვაწენი.

კონფერენცია გახსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოადგილემ, დეპარტამენტის მეთაურმა განიარაღების საკითხებში იან მარტენსონმა, რომელმაც მადლობა გადაუხადა სსრ კავშირისა და საბჭოთა საქართველოს მთავრობებს კონფერენციის მოწვევისათვის. ის ფაქტი, თქვა მან, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების რეგიონალური კონფერენცია მეორედ ეწყობა სსრ კავშირში, ხაზს უსვამს და ადასტურებს თქვენი ქვეყნის ერთგულებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის იდეებისადმი. მშვიდობის, საერთაშორისო უშიშროებისა და განიარაღების დარგში საბჭოთა კავშირის ინიციატივები ფართოდ არის ცნობილი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულმა განიარაღების მსოფლიო კამპანიამ აქ თავიდანვე მხურვალე მხარდაჭერა მოიპოვა.

ახლანდელი კონფერენცია განიარაღების საკითხებზე გულახდილი დიალოგისა და აზრთა გაზიარების შესაძლებლობას იძლევა. მის მონაწილეთა მიზანია ისწავლონ ერთმანეთისაგან, მიაღწიონ ურთიერთგაგებას, ვინაიდან განიარაღება დროის მოთხოვნაა. გამალებული შეიარაღების ალაგმვა აბსტრაქტული ცხება როდია, იგი ყველას და თითოეულს ეხება. და ამ პრობლემის გადაჭრაში ძალზე მნიშვნელოვანია კონსტრუქციული, რეალისტური და ინფორმირებული საზოგადოებრივი აზრის მიღწევა.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ო. ე. ჩერქეზია. მან გამოთქვა რწმენა, რომ სხვადასხვა სოციალური შეხედულებისა და პოლიტიკური მრწამსის, მაგრამ თანმობირთული კაცობრიობისგან დედამიწის ხსნის საერთო მისწრაფებით გაერთიანებულ კეთილი ნების ადამიანთა ახლანდელი შეხვედრა კიდევ ერთი საფეხური გახდება მშვიდობისა და პროგრესის საკეთილდღეოდ სახელმწიფოებისა და ხალხების კონსტრუქციული დიალოგისა და თანამშრომლობისაკენ.

დღეს ყოველი საღად მოაზროვნე ადამიანისათვის ცხადია — შეუძლებელია ბირთვული ომის შემოფარგვლა. არ შეიძლება მისი წარმოება წინასწარ შემუშავებული სცენარით, საერთოდ შეუძლებელია მისი მოგება. მსოფლიოს რომელიმე რეგიონში გაჩაღებული ეს ომი უთუოდ გამდება საყოველთაო ბირთვული აფეთქების დეტონატორი, რასაც გარდაუვალად მოჰყვება ცივილიზაციის დაღუპვა.

ამ ასპექტით განიარაღების მსოფლიო კამპანია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ გამოცხადებული მშვიდობის საერთაშორისო წელი განსაკუთრებულ აზრს იძენენ. სასიხარულოა, რომ იგი დაიწყო ოპტიმიზმისა და იმედის ატმოსფეროში, რომელიც ქენევის გავლენით წარმოიშვა. ქვეყნად მშვიდობის ბედისათვის უმაღლესი პასუხისმგებლობით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოწოდებასთან სრული სოლიდარობით არის გამსჭვალული ჩვენი ქვეყნის პრაქტიკული ნაბიჯები. საქმე ეხება მშვიდობის ახალ კონსტრუქციულ პროგრამას, რომელიც ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის 15 იანვრის განცხადებაში და კიდევ უფრო განვითარდა სკკპ XXVII ყრილობის ისტორიულ გადწყვეტილებებში. მაგრამ დათმობისა და დაძაბულობის შენელების უნიკალური შესაძლებლობა, რომელიც წარმოშვა საბჭოთა კავშირის მიერ გამოცხადებულმა ბირთვული გამოცდების მორატორიუმმა, არ გამოიყენეს. აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის ის-ის იყო დაწყებულ დიალოგს, ესოდენ საჭირო რომ არის მსოფლიოსათვის, კვლავ ძნელი დრო დაუდგა და არა ჩვენი მიზეზით.

ჩერნობილში მომხდარი უბედურების შემდეგ საბჭოთა სახელმწიფომ კვლავ მოუწოდა დასავლეთს შეიგნოს ისტორიული მომენტის მთელი მნიშვნელობა და შეუერთდეს ჩვენს მიერ 1986 წლის 6 აგვისტომდე გაგრძელებულ ბირთვული აფეთქებების მორატორიუმს.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ი. ა. ჟუკოვი. მან თქვა, რომ საბჭოთა ადამიანებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი სკკპ XXVII ყრილობაზე წამოყენებულ წინადადებას საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის საფუძვლების შესახებ, რომელიც სავსებით შეესაბამება მშვიდობის საერთაშორისო წლის მიზნებსა და ამოცანებს. ხალხებს შეუძლიათ და კიდეც უნდა მიაღწიონ იმას, რომ მშვიდობის საერთაშორისო წელი შევიდეს კაცობრიობის ისტორიაში, როგორც საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნის წელი.

ამ საარსებოდ დიდმნიშვნელოვან საქმეში ქმედითი წვლილი უნდა შეიტანოს ყველა საერთაშორისო ფორუმმა და, უწინარეს ყოვლისა, მრავალმხრივი თანამშრომლობის ისეთმა უნივერსალურმა ორგანომ, როგორიც არის გაერთიანებული ერების ორგანიზაცია.

წინ გველის უდიდესი მუშაობა, რომლის მიზანია განიარაღებისათვის ბრძოლაში რეალური შედეგების მიღწევა.

განიარაღებისა და გამალებული შეიარაღების შეწყვეტის პრობლემა განსაკუთრებით მისი ბირთვული ასპექტით, თანაშედროვეობის ყველაზე გადაუდებელი ამოცანაა, თქვა თავის გამოსვლაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა პერეს დე კუელიარმა კმაყოფილებით აღიქვა მ. ს. გორბაჩოვის წერილი, რომელშიც, კერძოდ, აღნიშნულია: „საბჭოთა კავშირი ხელმძღვანელობს იმით, რომ ომნისძიებანი, რომლებიც ოგეგმება და ხორციელდება მშვიდობის საერთაშორისო წლის ფარგლებში, ხელს უნდა უწყობდნენ სახელმწიფოებისა და ხალხების ერთობლივ აქციებს ომის საფრთხის თავიდან აცილების, ამ საქმისათვის ხალხის ყველაზე ფართო მასების დარაზმვის მიზნით“.

დედამიწის ყველა კუთხიდან მოდის წინადადებანი, რომ მშვიდობის საერთაშორისო წელი გახდეს XXI საუკუნისაკენ მიმართული მშვიდობისათვის ბრძოლის თავისებური ახალი სასტარტო მოედანი, გახდეს იმ დადებითი ელემენტების დაგროვების არა ეპიზოდი, არამედ ხანგრძლივი პროცესი, რომლებთაც ხალხები ააგებენ მშვიდობის უნივერსალურ შენობას.

(საქინფორმი).

ᲩᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲘᲫᲔᲠᲪᲔᲚᲘ — ᲞᲝᲔᲢᲘᲡ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

სოციალისტური შრომის გმირმა, პოეტმა-აკადემიკოსმა ი. აბაშიძემ, რომელსაც ოსეს ნონეშვილთან მრავალი წლის მეგობრობა აკავშირებდა, გადაჭრა ლენტი და სტუმრები ი. ნონეშვილის სახლის დარბაზში მიიწვია. ოსეს ნონეშვილის სიცოცხლის სიყვარულით აღსავსე პოეზია, — თქვეს ამ მოვლენისადმი მიძღვნილ მიტინგზე პარტიის გურჯაანის რაიკომის პირველმა მდივანმა დ. სარიშვილმა, ულოროდ წასული პოეტის კოლეგებმა და მეგობრებმა — საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ გ. ციციშვილმა, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ი. სუროვეცევმა, მწერალმა ს. ჭილაიამ, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის ქართული ლიტერატურის საბჭოს თავმჯდომარემ ე. ევტუშენკომ, რუსპუბლიკის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ბ. ბურულავამ. — ფართოდ დასაფიქრდა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

ი. ნონეშვილის სახლ-მუზეუმის პირველ სართულზე [illegible] ბიბლიოთეკა, [illegible] თანამედროვეობა [illegible] ენაზე გადმოკეთილი [illegible] ენაზე გადმოკეთილი [illegible] ენაზე [illegible] ენაზე [illegible] ენაზე

ყველას ღვიძლი საქმე

რომ ჰკითხოთ თბილისელს, გიყვარს თუ არა შენი ქალაქი, შეიძლება გაკვირვებულმა გიპასუხოს: ამას რა ფიცი-მტკიცი უნდა. კონკრეტულად თუ რას აკეთებს, როგორ იღვწის საქართველოს დედაქალაქი კიდევ უფრო რომ დამშვენდეს, გალამაზდეს, გაკოხტავდეს, შეიძლება დაიბნეს, გაწითლდეს და ვერაფერი გიპასუხოს. ამას ყველას მისამართით როდი ვლაპარაკობთ, თბილისში მცხოვრებთა უმრავლესობა იბრძვის იმისათვის, რომ მშობლიური ქალაქი საზოგადოებრივი წესრიგისა და სისუფთავის ნიშანში იყოს, მაგრამ ზოგიერთი თვითონ არღვევს წესსა და რიგს.

თბილისის ზოგიერთ ქუჩაში თუ გაგივლიათ, ან ეზოში შესულხართ, შეამჩნევდით ხის ძირებში, ქვაფენილებზე, სადარბაზოებში, სკვერებში გორებად დაყრილ ნაგავს, რომელსაც ბუზები და მღრღნელები დახვევია და კატების და ძაღლების სათარეშოდ გადაქცეულა.

ვინ არის ამის „შემოქმედი“? ის ზოგიერთი თბილისელი, რომელიც ჩვენს გვერდით ცხოვრობს და ხელოდებით ბინძურებს ქალაქს, ანტისანიტარიას ქმნის.

თბილისში სანიმუშო სანიტარიული წესრიგი რომ იყოს, ამისათვის ქალაქის საბჭოს აღმასკომის ინიციატივით ერთიან სანიტარიულ დღეებსაც კი აწყობენ, რომელშიც დედაქალაქის წარმოება-დაწესებულებები და მოსახლეობაა ჩაბმული, მაგრამ ამანაც ვერ უშველა საქმეს. ერთ-ერთი დათვალიერების მეორე დღეს იგრძნობოდა ქალაქის სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესება, მაგრამ ზოგიერთ რაიონში ქუჩების, მოედნების, თავისუფალი ადგილების მთლიანი წესრიგი მაინც ვერ დამყარდა. თქმის დასახლების მესამე, მეოთხე და მეთერთმეტე მიკრორაიონებში კვარტალებს შორის ქუჩები და გზონები მაინც არ დასუფთავეს, ნაგავი კვლავ ეყარა № 8 და № 10 საბინაო-საექსპლოატაციო უბნების ტერიტორიაზე გაწოგებულ საცხოვრებელ კორპუსებში. ასევე დანაგვიანებული იყო საკაჭრო ცენტრის გარშემო ტერიტორია, საკაძის, ბენდელიანის, ლომთათიძის და ჯავის ქუჩებიდან არ იყო გატანილი ქუჩის ნაგავი.

26 კომისრის რაიონში წულუკიძის ქუჩაზე, ავტოტექმომსახურების სადგურთან და მეტრომშენის დასახლებაზე ნაგვის გორები იდგა. პეტრე-პავლეს სასაფლაოსთან ახლომახლო ქუჩების მცხოვრებლებს სხვა საშუალება რომ ვერ გამოუნახავთ, სასაფლაოსთან მისასვლელი სანაგვედ გადაუქცევიათ. ასეთივე მდგომარეობაა ოქტომბრის რაიონში, კუკალი, როდის გამოჩნდება ავტომანქანა და ბუნკერებიდან ნაგავს გაიტანს. ასეთივე მდგომარეობაა საბურთალოს რაიონში, სადაც ოცდაშვიდი ბუნკერი ისეა ამოვსებული, რომ არ იციან საოჯახო ნაგავი სად გადაყარონ. ამ რაიონებს ბუნკერებიდან ნაგვის გაუტანებლობაში არ ჩამორჩებიან ორჯონიკიძის, ოცდაექვსი კომისრის, საკარხნო, პირველი მაისის და კალინინის რაიონების დასუფთავების ტრესტები.

მოსახლეობის ერთი ნაწილი დაუდევრობას იჩენს სანიტარიული წესრიგის საქმეში. უდისციპლინო ხალხს ღამით სისტემატურად გამოაქვს ნაგავი და ყრის ქუჩაში ხის ძირებთან, სადარბაზოებთან... ყოველივე ეს ანტისანიტარიას ქმნის და ათასგვარი ინფექციური დაავადების კერა ხდება.

რაც შეეხება დასუფთავების სისტემას, ესე იგი ქალაქის კეთილმოწყობის საამმართველოს და მის რგოლებს, ისინი კეთილსინდისიერად არ ეკიდებიან თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებას ბინობრივ-საგეგმო დასუფთავების შესახებ, და ნაგვის ორჯერადი გატანის მაგივრად მანქანა მოდის ერთხელ, ზოგჯერ კი სულ არა და ხანდახან გრაფიკის დარღვევით.

რედაქციაში მშრომელთა მრავალი წერილი მოდის თბილისში სანიტარიული წესრიგის დაცვის საჭირბოროტო საკითხებზე. აწუხებთ მღრღნელების, ბუზების, კოღოების მომრავლება, რაც გამოწვეულია ანტისანიტარიით. რაისაბჭოების აღმასკომების სათანადო სამსახურების, კერძოდ, საბინაო-საექსპლოატაციო უბნების მუშაკები თავიანთ საქმეს პასუხისმგებლობით რომ ეკიდებოდნენ, ქალაქში სანიტარიული წესრიგი უკეთესი იქნება. აი რას გვწერენ ავლლოვის ქ. № 32ბ სახლის მცხოვრებნი: ჩვენი სახლი ხუთსართულიანია და 30 ოჯახი ცხოვრობთ. ხუთი წელიწადია სახლის სარდაფები დატბორილია. ზოგჯერ სარდაფებში ნახევარი მეტრი წყალი დგას, შექმნილია ანტისანიტარია, დამპალი, აშმორებული წყალი კოღოების ბუდეა, შმორის სუნით შეწუხებულნი ვართ. ბევრჯერ მივმართეთ საბინაო-საექსპლოატაციო უბანს და რაისახლეობიდადგურს, მაგრამ საქმეს არაფერი ეშველა, — მოვლენ, ნახავენ და წავლენ.

აი, ბიუროკრატიზმისა და მშრომელთა მიმართ, აგრეთვე საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობისადმი უსულგულო დამოკიდებულების მაგალითი.

თბილისი — საქართველოს დედაქალაქის გული სანიმუშო წესრიგითა და სისუფთავით უნდა გამოირჩეოდეს. ამ საქმეში თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი, რაისაბჭოების აღმასკომები, მათი სათანადო სამსახურები მთელი პასუხისმგებლობით უნდა მუშაობდნენ და ყველაფერს ღონობდნენ ამისათვის, რომ სისუფთავე და წესრიგი სუფევდეს.

ბ. ლელაძე.

„ბარეჯობა“

(დასასრული)

რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა და სტუმრებმა დიდი ინტერესით დათვალიერეს არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულ მასალათა პირველი ექსპოზიცია.

ტრადიციისამებრ ხომ ყოველ „გარეჯობაზე“ ირჩევენ ხოლმე და ამჯერად უდაბნოს საპატიო მოქალაქეობის უფლება წილად ხვდათ საქართველოს სსრ გზათა მინისტრს ბ. სარალიძეს, უდაბნოს მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის ყოფილ დირექტორს ვ. ხარაშვილსა და უდაბნოს საცხოვრებელი სახლების მშენებელს ვ. ყანდაშვილს.

დღესასწაული დამთავრდა, უდაბნოში გასაკეთებელი კი იმდენია!..

მომავალ „გარეჯობამდე“ უდაბნოვ!

საგარეჯოს რაიონული გაზეთი „ოვრის განთიადი“, „კომუნისტის“ კოლექტიური კორესპონდენტი.

სურათზე: ზეიმი დავით გარეჯში.

ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

თეატრში პრემიერაა

ჟუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა ლ. თაბუკაშვილის „შენკენ სავალი გზები“. დადგმა ეკუთვნის გ. გაბელაიას, მხატვრული გაფორმება — თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტს დ. ანთაძეს, მუსიკა — კომპოზიტორ ნ. ედგარიძეს.

როლები შეასრულეს საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტებმა ქ. კოლხიდელმა და გ. კოკელაძემ, მსახიობებმა მარიკა სამანიშვილმა, თ. თავაძემ და სხვებმა. მაყურებელმა დადგმა გულთბილად მიიღო.

(საქინფორმი).

ბორი აცილებს და ელოდებაა

ბორში ხუთ დღეს გრძელდებოდა საგუნდო მუსიკის საკავშირო ფესტივალი.

საგუნდო კოლექტივები ფესტივალზე წარდგნენ მრავალფეროვანი, საინტერესო რეპერტუარით; კამერული გუნდების ნატიფმა ხელოვნებამ, მაღალმა საშემსრულებლო კულტურამ მოხიბლა მსმენელი.

კონცერტები ბორის გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრის სცენაზე და ატენის სიონის თაღებქვეშ, შეხვედრები შრომითს კოლექტივებთან, პრეს-კონფერენციები და მოგზაურობანი ატენისა და ბორჯომის ხეობაში, ქალაქის ღირსშესანიშნაობათა გაცნობა — მოკლედ, ფესტივალის ყოველი დღე შემოქმედებითად დატვირთული, სანახაობრივად საინტერესო იყო.

და აი, გასულ შაბათს ბორის სახელმწიფო თეატრის სცენაზე გაიმართა ფესტივალის დასკვნითი კონცერტი. მაყურებელი მხურვალედ მიესალმა საბჭოთა მრავალეროვნული მუსიკის წარმომადგენლებს, ქვეყნის საუკეთესო საგუნდო კოლექტივებს, რომელთა მაღალმა საშემსრულებლო ხელოვნებამ დაამშვენა ფესტივალის დასკვნითი საღამო.

დარბაზში ხშირად გაისმოდა ტაში და მოწონების შეძახილები, ყვავილებით მორთულ სცენაზე კი სრულდებოდა ძველი და თანამედროვე ფოლკლორული და კლასიკური მუსიკა, საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებები, სიმღერები სამშობლოზე, მშვიდობაზე, ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობაზე.

დასკვნითს საღამოზე საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, რესპუბლიკური შემოქმედებითი კავშირების, ბორის საქალაქო საბჭოს აღმასკომის, სახელმწიფო კონსერვატორიის, რესპუბლიკური და ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთების, ბორის შრომითი კოლექტივების მიერ დაწესებული პრიზები და ფასიანი სიუჟრები გადაეცათ ფესტივალის მონაწილე კოლექტივებს, ამ კოლექტივების ყველა წევრი დაჯილდოდა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს საპატიო სიგელით.

ფესტივალი დამთავრდა, ფესტივალი გაგრძელდება, რადგან რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილებით, რომელსაც ფესტივალის მონაწილე კოლექტივებმაც მხურვალედ დაუჭირეს მხარი, ბორის საგუნდო მუსიკის ფესტივალი ამიერიდან ტრადიციული გახდება და ორ წელიწადში ერთხელ ბორი უმასპინძლებს ჩვენი ქვეყნის ცნობილ საგუნდო მუსიკის კოლექტივებს.

ბ. პევზნერი, ნოვოსიბირსკის სახელმწიფო ფილარმონიის კამერული გუნდის სამხატვრო ხელმძღვანელი და დირიჟორი, რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საერთაშორისო კონკურსის লაურეატი: ის, რომ ბორში მუსიკალური შეხვედრები ტრადიციული გახდება, დიდ სიამოვნებას ანიჭებს ჩვენი კამერული გუნდის წევრებს.

ფესტივალის ინიციატორი ორგანიზაცია, საგუნდო მუსიკის ქუშმარიტად დამფასებელი მსმენელი, რა უნდა ინატროს კიდევ ნებისმიერმა საშემსრულებლო კოლექტივმა? [illegible] მეგობრებმ.

ე. ფარკინი, რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ლენინგრადის სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალის კამერული გუნდის სამხატვრო ხელმძღვანელი და დირიჟორი: ჩვენი კამერული გუნდი ვარშავისა და ჰავანის საერთაშორისო საგუნდო ფესტივალების ლაურეატია. ბევრს ვმოგზაურობთ როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ. და მაინც არც ერთ ქალაქში ყოველ წელს სამჯერ ზედიზედ არ ჩავსულვართ, გამონაკლისი გახდა ბორი — ჩვენი კეთილი მასპინძელი, სადაც ბევრი მეგობარი შევიძინეთ.

ე. ბოგდანოვსკი, მოლდავეთის სსრ პროფკავშირების კულტურის სახლისა და მუსიკალურ-საგუნდო საზოგადოების კამერული გუნდის სამხატვრო ხელმძღვანელი და დირიჟორი: ჩვენი ფესტივალის აკადემიური დონე დიდად განაპირობა მასში ჩვენი ქვეყნის საუკეთესო საგუნდო კოლექტივების მონაწილეობამ.

ბევრი რამ ვნახეთ, მოვისმინეთ და ვისწავლეთ. ამაღლებული განწყობილებით, სულიერად გამდიდრებულნი ვბრუნდებით შინ.

ბ. ვაშაკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სურათზე: ფესტივალის მონაწილეთა კონცერტი უფლისციხეში.

თ. ნაფიშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მაღლი ნიჭისა

(დასასრული)

ყოველივე საუკეთესოს, რაც კი შეუსრულებია ზურაბ ანჯაფარიძეს ამ წლების მანძილზე, რა თქმა უნდა, ვერ დაიტევდა ერთი საღამოს პროგრამა, მაგრამ იმან, რაც მან მოიცვა, დაადასტურა თუ რა ამაგი დასდო ზურაბ ანჯაფარიძემ საბჭოთა საოპერო ხელოვნების განვითარებას.

ამ საღამოს მომღერალს ღირსეული პარტნიორობა გაუწიეს სსრ კავშირის სახალხო არტისტებმა მედეა ამირანაშვილმა, ციალა ტატიშვილმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა თამარ გურგენიძემ, ელდარ გეწაძემ, ალექსანდრე ხომერიკმა, ახალგაზრდა სოლისტებმა მრავალი მათგანისათვის ზ. ანჯაფარიძე გულისხმიერი პარტნიორი და ყურადღებიანი და მზრუნველი დამრიგებელიც არის.

მაყურებელი მოჯადოვა ვერდის, ბიზეს, ჩაიკოვსკის, ფალიაშვილის ოპერების ნაწყვეტების, რუსული და ქართული რომანსების, იტალიური სიმღერების ზურაბ ანჯაფარიძისეულმა შესანიშნავმა ინტერპრეტაციამ.

ოსტატის სასიმღერო და არტისტული ნიჭის უმდიდრეს შესაძლებლობებზე ილაპარაკა თავის მისალმებაში სსრ კავშირის სახალხო არტისტმა გ. ლორთქიფანიძემ.

ამ საღამომ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ არ ფერმკრთალდება ზურაბ ანჯაფარიძის ნიჭი, რომლისთვისაც მუსიკის, ხელოვნების სამსახური მთელი ცხოვრების აზრს შეადგენს. ეს იყო მუსიკის, ვოკალის ჭეშმარიტი ზეიმი, და ამავე დროს მაყურებლის მიერ თავისი აღიარებული ოსტატის სიყვარულის შთამბეჭდავი მაგალითი.

(საქინფორმი).

ფეხბურთის ამბები

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა დამტკიცა სია იმ 22 ფეხბურთელისა, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატში ითამაშებენ. ამრიგად, 21 მაისს მექსიკაში გაემგზავრებიან **მეკარეები** — რ. დასაევი, ვიქტორ ჩანოვი და ს. კრაკოვსკი; **მცველები** — ნ. ლარიონოვი, ა. ჩიკაძე, ა. ბუბნოვი, გ. მოროზოვი, ო. კუზნეცოვი, ა. ბალი, ა. დემიანენკო; **შუა და თავდასხმის ხაზის მოთამაშენი** — ვ. ბესონოვი, ი. იარემჩუკი, ვ. რაცი, ა. ზავაროვი, პ. იაკოვენკო, გ. ლიტოვჩენკო, ს. ალეინიკოვი, ს. როდიონოვი, ო. ბლოხინი, ვ. ევტუშენკო, ი. ბელანოვი და ო. პროტასოვი. საბჭოთა ნაკრებმა ბოლო საწვრთნელი მატჩი გამართა 17 მაისს მოსკოვის „ტორპედოსთან“ და გაიმარჯვა ანგარიშით 1:0. ბურთი გაიტანა კუზნეცოვმა.

უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეათე ტურის მატჩებში თბილისის „დინამომ“ და ქუთაისის „ტორპედომ“ ერევნის „არარატსა“ და ბაქოს „ნეფტჩის“ უმასპინძლეს. მართალია, თბილისელთა უპირატესობა პირველ ტაიმში საკმაოდ დამაჯერებელი იყო, მაგრამ მათ მხოლოდ ერთხელ, შეხვედრის მეშვიდე წუთზე შეძლეს ერთადერთი გოლის გატანა: კუთხურიდან გათამაშებულ ბურთს მიესწრო გაზაევმა და ერევნელთა მეკარე ვერაფერს გახდა. ეს იყო და ეს, ტაიმის დასასრულამდე მასპინძელთა გამუდმებული იერიშები უნაყოფო გამოდგა. უფრო მეტიც, თბილისელებმა კარისაკენ რამდენადმე ზუსტი დარტყმაც კი ვერ მოახერხეს. შესვენების შემდეგ ერევნელები შესამჩნევად გააქტიურდნენ, კარის აღების რამდენიმე რეალური საფრთხეც შექმნეს, მაგრამ, საბედნიეროდ, საქმე მხოლოდ დინამოელთა შიმნარევი შეკრთობით დამთავრდა.

აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ თბილისის „დინამოს“ სპორტკომბინატის ხელმძღვანელობამ შეასრულა დანაპირები და ლატარიის გათამაშება მატჩის დამთავრების შემდეგ მოაწყო. კვლავაც ასე გაგრძელდება.

რაც შეეხება ქუთაისის „ტორპედოს“, ამჯერად საკუთარ მოედანზე, სხვა მატჩებთან შედარებით, გაცილებით უხეიროდ ითამაშა და დამარცხდა ახგარიშით 1:3. ქუთაისელთაგან ერთადერთი ბურთი გაიტანა ვ. შენგელიამ. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, ქუთაისელებმა წლეგანდელ სეზონში საკუთარ მოედანზე ვერც ერთი შეხვედრა ვერ მოიგეს.

დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: მოსკოვის „დინამო“-„სპარტაკი“ — 2:1, „მეტალისტი“-„ალგორისი“ — 0:0, „ჩერნომორეცი“-„დნეპრი“ — 2:2, „ყაზანი“-მინსკის „დინამო“ — 1:0, „ზენიტი“-„მახჩალა“ — 1:1.

ახლა კი გადავხედოთ გათამაშების ცხრილს, რომელშიც გუნდები დღეისათვის ასეთი თანმიმდევრობით არიან განლაგებულნი:

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ზენიტი“	5	3	2	18-10	13
„დინამო“ თბ	4	4	2	9-8	12
„ნეფტჩი“	4	3	3	13-10	11
„ალგორისი“	4	3	3	7-8	11
„დნეპრი“	3	5	1	11-11	11
„ჩერნომორეცი“	4	2	3	11-11	10
„დინამო“ კ	3	4	0	12-6	10
„ყაზანი“	3	4	3	7-11	10
„დინამო“ მ	3	3	3	12-12	9
„მახჩალა“	3	3	4	10-11	9
„დინამო“ მნ	3	2	4	8-9	8
„მეტალისტი“	2	4	4	7-8	8
„ტორპედო“ მ	2	3	2	6-5	7
„ტორპედო“ ქთ	1	5	4	6-11	7
„სპარტაკი“	2	2	4	9-9	6
„არარატი“	1	4	5	3-9	6

პირველი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეთერთმეტე ტურში ბათუმის „დინამომ“ მოსკოვში დაამარცხა ადგილობრივი „ლოკომოტივი“ — 1:0, ლენინგრადის „გურიამ“ კი ვოლგოგრადის „როტორს“ უმასპინძლა და ასეთივე ანგარიშით მოიგო შეხვედრა. თერთმეტი ტურის შემდეგ ცსკას 17 ქულა აქვს, 15-15 ქულა დაგროვეს „დაუგავამ“, „გურიამ“ (10-10 მატჩიდან) და „ლოკომოტივმა“ (11-დან), 14-14 — ბათუმის „დინამომ“ (10 შეხვედრიდან) და „როსტსელმაშმა“ (11-დან).

მეორე ლიგის მეცხრე ზონის საკავშირო პირველობაში მოსპარეზე 16 გუნდიდან 7 ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელია. მერვე ტურში ასეთი შედეგები აღინიშნა: ტყიბულის „მეშახტე“-აშხადიის „კოლხოზჩი“ — 1:0, სამტრედიის „ლოკომოტივი“-ბაქოს „გიანჯლიკი“ — 2:1, სოხუმის „დინამო“-ოქტემბერიანის „სპარტაკი“ — 3:0, ფოთის „ კოლხეთი“-„შტარაკის „ოლიმპია“ — 5:1, რუსთავის „მეტალურგი“-მინგეჩაურის „ავტომობილისტი“— 5:0, გორის „დილა“-ნახიჩევანის „არაზი“ — 4:0, თბილისის „ლოკომოტივი“-სტეფანაკერტის „ყარაბახი“ — 3:1, ლენინაკანის „შირაკი“-კიროვაბადის „ქიაფაზი“— 3:2. დღეისათვის 13-13 ქულით ლიდერობენ სოხუმის „დინამო“ და თბილისის „ლოკომოტივი“. მომდევნო ადგილებზე არიან „ქიაფაზი“ (12 ქულა), „დილა“ (11), „კოლხეთი“ (10) და ა. შ.

საბურნირო ორბიტა

მუვიდროვი ვალოგოლა. შეჯიბრების მეათე ეტაპის (ქალაქ ჰალესა და მის შემოგარენში დისტანციის სიგრძე იყო 35 კმ; ინდივიდუალური რბოლა დაყოფილი სტარტით) შემდეგ პრიზიორთა სამეულში მხოლოდ საბჭოთა სპორტსმენები მოხვდნენ: ვ. ყდანოვი — 44.22, ვ. პულნიკოვი — 44.33 და ა. საიტოვი — 44.42. გუნდურ ჩათვლაშიც საბჭოთა ნაკრებმა გაიმარჯვა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ ბელგიის სპორტსმენები, მესამეზე — პოლონელები. მეთერთმეტე ეტაპი (ჰალე — კარლ-მარქს-შტადტი, 176 კმ) მოიგო ლ. სტეფანოვსკიმ, მეორე ადგილზე გამოვიდა ზ. ვრონა (ორიგე—პოლონეთი), მესამეზე — უ. რა